ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი ქართულ კანონმდებლობაში-კრედიტორთა მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილება თუ მოვალის გადარჩენა“

თემის ავტორი: მარიამ ცერცვაძე

თემის ხელმძღვანელი: ნანა ამისულაშვილი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე

თბილისი 2021

სარჩევი

I) შესავალი 1
1) კვლევის საგანი 2
2) საკითხის აქტუალობა 5
3) კვლევის მეთოდი 6
4) კვლევის სტრუქტურა 6
II) გადახდისუუნარობის სამართლის არსი და მნიშვნელობა 8
1) გადახდისუუნარობის სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია 9
2) გადახდისუუნარობის სამართლის საჭიროება და მნიშვნელობა 12
3)ქართული გადახდისუუნარობის სამართლის განვითარება 13
4) გერმანული გადახდისუუნარობის სამართლის განვითარება 17
III) გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი 21
1) მოვალის გადარჩენის მიზანი 24
A) მოვალის გადარჩენის მნიშვნელობა - ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი 25
B) მოვალის გადარჩენის მექანიზმები 27
a) მოვალის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროული გახნსა 29
b) ხელშეკრულებების შესრულება 30
c) რეაბილიტაციის რეჟიმისა და რესტუქტურიზაციის როლი მოვალის გადარჩენის მიზნის მისაღწევად 32
d) რეგულირებული შეთანხმება, როგორც მოვალის გადარჩენის მიზანი ქართულ და ინგლისურ სამართალში 39
2) მოვალის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ბიზნესის გადარჩენის მნიშვნელობისთვის 41
3) კრედიტორების მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილების მიზანი 44
A) კრედიტორის მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილების მექანიზმები 44
a) მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილების შესაძლებლობა გაკოტრების რეჟიმის გახსით 45
b) მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოვალის რეაბილიტაციის პირობებში 47
c) შეცილება 48
d) კრედიტორების უფლებების რეალიზების საშუალებები მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილების ასპექტში 51
IV) მოვალეთა და კრედიტორთა თანაბარუფლებიანი დაცვის შესაძლებლობა 54
V) დასკვნა 56
ბიბლიოგრაფია 60

აბრევიატურა:

ა) ქართულ ენაზე:

იხ.- იხილეთ

ა.შ.- ასე შემდეგ

გვ.- გვერდი

ე.ი.-ესე იგი

ე.წ.- ეგრეთ წოდებული

წ.- წელი

სხვ.- სხვა

ბ) უცხოურ ენაზე:

Inso - insolvency

Pg. - page

RA - Reabilitation Act

CVA - company voluntary arrangement

KO – konkursordnung

Verglo – vergleichsordnung

GDR – German Democratic Republic

I) შესავალი

გადახდისუუნარობის სამართალი სამართლის ერთ-ერთი უძველესი სფეროა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და დროდადრო იძენდა სხვა სამართლებრივ სისტემებთან ერთად მნიშვნელოვან როლს. იგი თანამედროვე სახით მრავალი ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა და დღემდე აგრძელებს განვითარებას. ყოველ ჯერზე, სახელმწიფოს შეხედულებებთან სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის განვითარების როლის მიხედვით, იცვლება მისი მიზნები, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად უნდა გამოეყოს საკითხი, რომელსაც კითხვაზე პასუხი ჯერ-ჯერობით ბოლომდე ვერ გაეცა. საკითხი კი შემდეგია - არის თუ არა მოვალის გადარჩენა კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უპირატესი, ან პირიქით. გადახდისუუნარობის სამართლის განვითარება კი სწორედ ამ საკითხიდან გამომდინარეობს. მის გარშემო ისმევა კითხვები და შედმგომ ყალბდება ახალი რეგულაციები.

გადახდისუუნარობის სამართლის მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება ზოგიერთი მკვლევარის აზრით დაუშვებელიც კია[1]. აღნიშნული მოსაზრება ლოგიკას მოკლებული არ არის, რადგან ამგვარმა დანაწესმა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარე სამუდამოდ „დაჩაგროს“ და სამოქალაქო უფლებების განხორციელების გზა მოუჭრას.

საქართველოში გადახდისუუნარობის სამართლის განვითარება მოიცავს კანონის სამჯერ განსხვავებული სახელწოდებებითა და მიზნებით მიღებას. პირველი რიგში, მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის განხილვა და საბოლოო შედეგამდე მისვლა, თუ რა სურს და რა მიზანს ემსახურება სამართლის ეს სფერო ქართულ რეალობაში. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე მოქმედებდა ჯერ 1996 წელს მიღებული კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, სადაც პირველივე

[1] ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება საბოლოო ანგარიში, თებერვალი, 2019 წელი, გვ.8.

მუხლში მოცემულია, რომ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მიზანია კერძო ვალაუვალი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების საფუძვლიანი გადაწყვეტა. ხოლო შემდგომ 2007 წლის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი. კანონის მიზანი გახდა მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაზომიერი დაცვა. ხოლო 2021 წლის კანონით, მნიშვნელობა შეიძინა მოვალის რეაბილიტაციის გზით კრედიტორთა კოლექტიურად დაკმაყოფილებამ, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილება. აღსანიშნავია, რომ კანონის შესავალში ჩამოყალიბებული მიზნები და შემდგომი რეგულაციები არც 1996 და არც 2007 წლის კანონებში არ იყო თანხვედრაში. ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი ახალი კანონით შემოთავაზებული მიზნისა და მის მისაღწევად ჩამოყალიბებული რეგულაციების ერთობლიობაში განხილვა და რეალური შედეგის გამოკვეთაა საერთაშორისო გამოცდილებებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით. უნდა დადგინდეს პროკრედიტორულია თუ პრომსესხებლური აღნიშნული კანონი და რამდენად აქვს მას შესაძლებლობა დასახული მიზანი, რომელთან დაკავშირებითაც დასმულია კითხვა - გადაარჩინოს მოვალე თუ დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნები მოვალის გადარჩენაზე უპირატესად, პრაქტიკაში განახორციელოს.

ამ ყველაფერთან ერთად, თეორიების, საერთაშორისო და სახელმწიფოების ადგილობრივი გამოცდილებებისა და სამომავლო პროგნოზების ანალიზი ცხადყოფს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს ის მიდგომა, რაც შესაძლოა არ განსაზღვრავდეს კონკრეტულად მიზანს, მაგრამ უნდა იყოს კონკრეტულთან ახლოს. გლობალური მიზნებისთვის ვაჭრობის ძირითადად საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, კი უნდა ჩამოყალიბდეს საერთო მიდგომები.

1) კვლევის საგანი

გადახდისუუნარობის სამართლისთვის ყველაზე რთული შესაბამისი პრიორიტეტების გასაზღვრასთან ერთად მისი სწორად ჩამოყალიბებაა რეგულაციების გზით. სრულიად შესაძლებელია კანონი შესავალში გადმოსცემდეს, რომ მისი მიზანია კრედიტორებისა და მოვალის თანაბარუფლებიანი დაცვა, მაგრამ კანონმდებელმა მნიშვნელოვანი საკითხები ბუნდოვნად და ორაზროვნად ჩამოაყალიბოს. დასახული მიზნის მიღწევის ნაცვლად კი მივიღოთ შედეგი, რომელიც გამოიწვევს დაბნეულობას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია განხილული იყოს ის საშუალებები და შესაძლებლობები, რაც გადახდისუუნარობის სამართალს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაეხმარება. სამართლებრივი სისტემები და მათი შესაბამისი რეგულაციები არ იქნება ცალკე განხილვის საგნად გამოყოფილი, არამედ მივიჩნევ, რომ უნდა განიხილებოდეს შეძლებისდაგვარად საქართველოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობასთან ერთად საერთო სურათის დანახვისთვის.

საინტერესოა რამდენად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს გადახდისუუნარობის ქართული კანონმდებლობაში დარეგულირებული გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რეჟიმები. რა ახალი გადაწყვეტის გზებია შემოთავაზებული და როგორ უნდა განვითარდეს ეს რეჟიმები. გადახდისუუნარობის სამართლისთვის ახალი ინსტიტუტია მაგალითად რეგულირებული შეთანხმება. იგი დიდ ბრიტანეთში მეოცე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, მაგრამ ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ შექმნილ ევროპულ დირექტივაში[2] 2019 წელს აისახა, რაც საფუძვლად დაედო სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მიერ ამ გამოცდილების გაზიარებას.

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ საერთაშორისო ერების კომისიამ სამართლებრივი გაიდლაინი გამოსცა 2005 წელს და შეიძლება ითქვას, რომ მისი გათვალისწინებით განვითარდა და შეიცვალა მრავალ სახელმწიფოში გადახდისუუნარობის სამართალი, მათ შორის მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც როგორც ამ სფეროს, ასევე ეკონომიკური განვითარების გზაზე დგანან და ჯერ კიდევ არასტაბიული გარემოა ბიზნესისთვის. საქართველოს

[2] DIRECTIVE (EU) 2019/1023 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, 2019

მაგალითი კი ამ ქვეყნებს შორის უნდა გამოიყოს საკითხის განხილვის მიზნებისთვის.

ქვეყნები ინდივიდუალურად აყალიბებენ სხვადასხვა პოლიტიკას თუ რისკი როგორ უნდა გადანაწილდეს მხარეებს შორის. ზოგადად ეს წესები გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონმდებლობით. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ქვეყანა რისკის გადანაწილების რა მეთოდს აირჩევს, მხარეებს ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ მიიღონ წინასწარი ზომები, რომ მართონ ეს რისკი იქიდან გამომდინარე, თუ ეს დანაწესები როგორ პროგნოზს იძლევიან. ამის საპირისპიროდ, როდესაც წესები ან მათი გამოყენება გაურკვეველია, ასეთი გაურკვევლობა ამცირებს ყველა მონაწილის ნდობას და ძირს უთხრის მათ კრედიტის მიღების სურვილს და სხვა საინვესტიციო გადაწყვეტილებებს[3].

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქართული გადახდისუუნარობის სამართლის განვითარების მიმოხილვა და ისტორიული მაგალითების განხილვა, რადგან მან საკმაოდ მცირე დროში მოახერხა და 2021 წლის აპრილიდან უკვე მესამე კანონი აამოქმედა, რაც მთავარია ევროდირექტივის, უნციტრალის გაიდლაინებისა და საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით. ამასთან საინტერესო იქნება მისი პერსპექტივების განსაზღვრა, რადგან შესაბამისი პრაქტიკა ჯერ არ ჩამოუყალიბებია.

ამ ცვლილებების მიუხედავად დღემდე განხილვის თემად რჩება დასმული საკითხი. რთულია მოძებნო ნაშრომი, რომელიც განიხილავს გადახდისუუნარობის სამართალს კონკრეტულად ამ თემის გარშემო. ამავდროულად, საქართველოში ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდგომ არ არსებობს საკითხზე კონკრეტული მიმოხილვა და მხოლოდ კანონითაა გადმოცემული თუ რა მიზანს ემსახურება იგი.

ნაშრომი ემსახურება ქართული გადახდისუუნარობის სამართლის შესაბამისი სამართლებრივი პრობლემების ან დადებითი მხარეების გამოყოფას და მათთან

[3] "General Objectives and features of Insolvency procedures" Author: International Monetary Fund, 1999, pg. 5.

ერთად მისი მიზნის განსაზღვრისთვის იმ რეგულაციების გამოყოფას, რომელიც დასმულ კითხვას გასცემს პასუხს.

2) საკითხის აქტუალობა

გადახდისუუნარობის სამართალი სამართლის ის სფეროა, რომელიც მუდმივად ვითარდება. მისი სწრაფი განვითარება და რეგულაციებისა შეცვლა სრულიად დამოკიდებულია მზარდ სამეწარმეო საქმიანობასა და ბიზნესის მუდმივ განვითარებაზე. საკითხის აქტუალურობას სწორედ მისი სწაფად ცვალებადი ხასიათი და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში განსხვავებული პერიოდისთვის განსხვავებული სახის მიღება განაპირობებს. გადახდისუუნარობის სამართლის ერთადერთი მიზანი ნამდვილად არ შემოიფარგლება იმის განსაზღვრაში, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია, კრედიტორთა მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილება, თუ მასთან შედარებით მოვალის გადარჩენა. მაგრამ ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განაპირობებს მთლიანად კანონით განსაზღვრულ რეგულაციებს და მის მიმართულებას.

გადახდისუუნარობის კანონი თავიდანვე ცალსახად ვერ განსაზღრავს პროკრედიტორულია თუ პრომსესხებლური. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) „მეთოდური და ეფექტური გადახდისუუნარობის პროცედურების სახელმძღვანელოს“ მიხედვით, მიუღებელიც კია. პროცესში უფრო მეტად მნიშვნელოვანია თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს ამ წესებს ძლიერი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა[4]. ნაშრომის მთავარი მიზანი კი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებთან ერთად ქართული გადახდისუუნარობის სამართლის ამ მხრივ მიმოხილვა და საუკეთესო პრაქტიკის მოძიებაა. ეს ყველაფერი

[4] ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება საბოლოო ანგარიში, თებერვალი, 2019 წელი, გვ.8.

ემსახურება შესაბამისი მიმართულების დადგენას და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის იმ მიდგომის შესწავლასა და შეთავაზებას, რაც საქართველოსთან ერთად საერთაშორისო მიზნებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება.

3) კვლევის მეთოდი

სისტემური, ანალიტიკური, შედარებით სამართლებრივი, ლოგიკური, პროგნოზირებისა და სინთეზური მეთოდების გამოყენებით ნაშრომში განხილულია გადახდისუუნარობის სამართალთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი გერმანულ და ქართულ დოქტრინას. ასევე განხილულია სხვა ქვეყნების სამართლებრივი მოწესრიგებები, რაც, რა თქმა უნდა, საკითხის უკეთ გაგებაში და ნაშრომის მიზნის აღსრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ნაშრომში მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულია ფორმალური იურიდიული, სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის მეთოდები. ნაშრომთან დაკავშირებით ასევე მიმოხილულია ნორმათა ისტორიული შინაარსი და მათი ფორმირების გზები.

4) კვლევის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან. პირველი თავი დაეთმობა შესავალ ნაწილს, მეორე თავში განხილული იქნება გადახდისუუნარობის სამართლის არსი და მნიშვნელობა, მასთან ერთად კი მიმოხილული იქნება წარმოშობის ისტორია, არსი და მნიშვნელობა. მეორე თავის ბოლო ორი ნაწილი შეეხება გერმანიისა და ქართული გადახდისუუნარობის სამართლის ჩამოყალიბებას. მესამე თავი დაეთმობა გადახდისუუნარობის სამართლის მიზანს, მათ შორის, ცალ-ცალკე

იქნება გამოყოფილი მოვალის გადარჩენის მიზანი და კრედიტორის გადარჩენის მიზანი შესაფერისი მექანიზმების გამოკვეთითა და განხილვით. მეოთხე თავის განსახილველი საკითხია შესაძლებელია თუ არა მოვალეების და კრედიტორების და მათი მიზნების თანაბრად დაცვა და შესრულება, რისთვისაც გამოყენებული იქნება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების გამოცილებები და მკვლევები. რეკომენდაციები და განსახორციელებელი ცვლილებები იქნება ყველა თავში განხილული შესაბამისი შინაარსით. მეხუთე თავში კი შეჯამდება ნაშრომი.

II) გადახდისუუნარობის სამართლის არსი და მნიშვნელობა

გადახდისუუნარობა სამართლებრივი ტერმინია, რომელიც აღწერს სიტუაციას სადაც მოვალეს შესაძლებლობა არ აქვს გადაიხადოს ვადამოსული მოთხოვნები. არსებობს გადახდისუუნარობის ორი ტიპი: 1) ფულადი სახსრების გადახდისუუნარობა, როდესაც მოვალე განიცდის ფინანსური ლიკვიდურობის ნაკლებობას, რაც შეუძლებელს ხდის დავალიანების დაფარვას. ეს გადახდისუუნარობის ის ტიპია, რომელსაც კომპანიების უმეტესობა განიცდის გაკოტრებამდე. 2) მეორე ტიპია ბალანსის გადახდისუუნარობა, რაც გულისხმობს წმინდა აქტივების ქონას, სადაც ვალდებულებები აღემატება მათ აქტივებს. ეს არის გადახდისუუნარობის ფორმა, რომელიც ჩვეულებრივ აღწერილია კორპორატიული სუბიექტების მიერ გაკოტრებამდე.[5] აქვე მნიშვნელოვანია განვასხვავოთ გადახდისუუნარობისა და გაკოტრების მნიშვნელობა იქიდან გამომდინარე, რომ მათ, როგორც ტერმინებს, ხშირად ერთი მნიშვნელობით მოიხსენიებენ და ტერმინს გადახდისუუნარობის სამართალს გაკოტრების სამართლით ანაცვლებენ. ამგვარი აღრევა მათი არსიდან გამომდინარე არ არის სწორი. გაკოტრება გადახდისუუნარობის სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ზოგად ტერმინად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რასაც გაკოტრება საბოლოო შედეგად შესაძლებელია სულაც არ მოსდევდეს. გაკოტრება არის მოვალის სტატუსი, რომელიც მინიჭებული აქვს შესაბამისი სამართლებრივი ორგანოს მიერ[6], რომელსაც მაგალითად, საქართველოში, სასამართლო წარმოადგენს.

გადახდისუუნარობის სამართალის არსებობა გარკვეულ მიზნებს ემსახურება და სხვადასხვა ქვეყანაში მისი მიზნები განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული. ამ ყველაფერს კი წინ ისტორიული რაკურსი უძღვის, რომლის განხილვაც მნიშვნელოვანია ერთ-ერთი ყველაზე სადაო საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისთვის, რომელსაც წარმოადგენს კითხვა - მოვალის გადარჩენა თუ

[5] Copyright HG.org https://www.hg.org/insolvency-law.html
[6] Stefan Albrecht Riesenfeld, article on "Bancruptcy" https://www.britannica.com/topic/bankruptcy

კრედიტორის ინტერესების უპირატესი დაკმაყოფილება. ამასთან, ქვეყნაში არსებული გადახდისუუნარობის სისტემა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოვებული გადახდისუუნარობის საერთაშორისო სტანდარტებთან[7], საერთაშორისო რეკომენდაციებთან[8] და ა.შ. აღნიშნულ პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროცესის სწორად წარმართვის მიზნებისათვის, რადგან, სწორედ, პრინციპი – „რა არის მთავარი დასაცავი კატეგორია" – განსაზღვრავს გადახდისუუნარობის სამართლის სისტემას ქვეყანაში[9].

1) გადახდისუუნარობის სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია

გადახდისუუნარობის სამართალს, როგორც სამართლის ყველა სფეროს, თავისი საწყისები აქვს და მისი თანამედროვე სახით ჩამოყალიბებას მრავალი განსხვავებული ქვეყნის სამართლის კულტურის ისტორია უძღვის წინ. ძველ რომის სამართალში გადახდისუუნარობაში დადანაშაულებული მოვალისთვის კრედიტორს შეეძლო მისი ქონების დაყადაღება (missio in bona) და გაყიდვა ყველა კრედიტორის სასარგებლოდ (vendio bonorum).[10] სადაც აშკარად ჩანს, რომ კრედიტორისთვის ვალის ანაზღაურება უპირატესი მნიშვნელობის იყო. ამ ტიპის პროცესებმა გამოიწვია მოვალის სამოქალაქო უფლებების დაკარგვა და შესამსუბუქებლად მას მიენიჭა პრივილეგია ნებაყოფლობით გადაეცა თავისი აქტივები კრედიტორებზე მაგისტრატის შუამდგომლობით (cessio bonorum)[11].

გაკოტრების სამართალს ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იცნობდნენ გარკვეული ფორმებით, მაგალითად თუ კაცი ვერ გადაიხდიდა ვალს მაშინ ის, მისი ცოლი, ბავშვები და მსახურები კრედიტორის მონები ხდებოდნენ და შემდეგ

---

[7] Principles for effective creditor rights and insolvency systems.
[8] http://www.ebrd.com/downloads/legal/insolvency/principle.pdf.
[9] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 2021 წ, გვ. 14.
[10] Stefan Albrecht Riesenfeld, article on "Bancruptcy" https://www.britannica.com/topic/bankruptcy
[11] იხ. იქვე

კრედიტორი მათი ფიზიკური შრომის გამოყენებით მოახდენდა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ბევრ ქალაქ-სახელმწიფოში შემოღებული იყო 5 წლიანი ლიმიტი რის შემდეგაც დამონებული მოვალე უნდა გათავისუფლებულიყო. დამონებულ მოვალეს ჩვეულებრივ მონასთან შედარებით ის პრივილეგია ჰქონდა, რომ მისი სიცოცხლე დაცული იყო და კრედიტორს მისი მოკვლა არ შეეძლო განსხვავებით ჩვეულებრივი მონისაგან. ეს წესი სოლონის კანონების მიხედვით იკრძალებოდა ქალაქ სახელმწიფო ათენში[12].

ასევე საინტერესო ფაქტია, რომ ჩინგიზ ხანის იასა შეიცავს დებულებას, რომელიც ითვალისწინებს ყველას სიკვდილით დასჯას, ვინც სამჯერ გაკოტრდებოდა[13].

შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად განვითარდა მიდგომები. აღნიშნული პერიოდის იტალიის ქალაქებმა დაადგინეს დებულებები, რომლებიც ეხებოდა მოვალეების, განსაკუთრებით ვაჭრების აქტივების შეგროვებასა და განაწილებას, რომლებიც გაქცეულნი იყვნენ ან თაღლითურად გამოიწვიეს გადახდისუუნარობა[14]. გარდა ამისა, შუა საუკუნეების ესპანეთის კანონმდებლობამ აღადგინა სასამართლო cessio bonorum. Siete Partidas- კოდიფიკაცია გამოქვეყნებული დონ ალფონსო ბრძენის, კასტილიისა და ლეონის მეფის მიერ, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც შეიცავდა დეტალურ დებულებებს გადახდისუუნარო მოვალეებთან დაკავშირებით და ვრცელდებოდა როგორც ვაჭრებზე, ასევე არამოვაჭრე მოვალეებზე, რაც კრედიტორებს უზრუნველყოფის შესაძლებლობას მისცემდა. მათი აქტივების ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია შესაძლებელი გახდა სასამართლოს ზედამხედველობით. კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა მოვალის მიერ ქონებით გადახდა ან გადაცემა ყველა სხვა კრედიტორისთვის[15]. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთიც ამ გზას გაჰყვა გადახდისუუნარობის სამართლის ჩამოყალიბების პროცესში და როგორც ვაჭრებს, ასევე სხვა სახის მოვალეებს მიანიჭა უფლება მიეღოთ გაკოტრების პროცესში

[12] Manson, Edward William Donoghue (1911). "Bankruptcy" . In Chisholm, Hugh (ed.). Encyclopædia Britannica. 3 (11th ed.). Cambridge University Press. p. 322.
[13] Carmen M. Reinhart, Kenneth S. Rogoff (2009). "This time is different: eight centuries of financial folly". Princeton University Press. p.30. ISBN 0-691-14216-5
[14]Stefan Albrecht Riesenfeld, article on “Bancruptcy” https://www.britannica.com/topic/bankruptcy
[15] იხ. იქვე

მონაწილეობა. შემდგომ პერიოდში ესპანეთმა დაამკვიდრა ლიკვიდაციის ორი სახის პროცესი და განასხვავა ვაჭრები და არამოვაჭრე მოვალეები ერთმანეთისგან. ამ წესის მიხედვით განავითარეს სამართლის ეს სფერო ბრაზილიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების კანონმდებლებმა[16].

როგორც ისტორიიდან ჩანს, ადრეული გადახდისუუნარობის სამართალი არ იცნობდა მოვალის გადარჩენის ინსტიტუტებს და მკაცრ პასუხისმგებლობას-გაკოტრბას, აკისრებდა მოვალეს. მიუხედავად ამისა, რეაბილიტაციის ინსტიტუტი ყალიბდებოდა მოვალის ლიკვიდაციის წესებთან ერთად . სამოქალაქო უფლებების ასეთი შეზღუდვისა და მკაცრი სანქციების ნაცვლად მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისთვის ინგლისმა შესთავაზა მოვალეებს მიეღწიათ შეთანხმებას, რაც გულისხმობდა კრედიტორთა უმრავლესობის თანხმობით ვალის გადავადებისა და შემცირების პროცესებს. ინგლისის 1807 წლის კომერციული კოდექსის და ასევე სხვა ქვეყნების კანონების მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ეს წესები უფრო მეტად ზღუდავდა მოვალეებს გასულიყვნენ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, ვიდრე აეცილებინათ თავიდან გაკოტრება. ამის გამო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ხელახლა შემოიღეს ის პრევენციული მოქმედებები, რასაც ხელი უნდა შეეწყო მოვალის საქმიანობის გადარჩენისათვის. ისინი ახლა აღიარებულია უმეტეს ქვეყნებში, როგორც მნიშვნელოვანი საშუალებები ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის[17]. გერმანიის 1916 წლის კანონმა წარმოადგინა გაკოტრების ნაცვლად იმ პროცედურა, რომელიც ანაცვლებდა მას და მოვალე საქმიანობას აგრძელებდა დანიშნული ზედამხედველობით მოვალის მოთხოვნიდან გამომდინარე რომ სურდა ასეთი პროცედურისთვის მიემართა. მსგავსი წესი შემოიღეს შემდგომ სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ინგლისში 1986 წლის გადახდისუუნარობის აქტით. გარდა ამისა, ინგლისის, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის კანონები ასახავს კომპანიების ან ცალკეული

[16] Stefan Albrecht Riesenfeld, Article on “Bancruptcy” https://www.britannica.com/topic/bankruptcy
[17] იხ. იქვე

მოვალეების მიერ კრედიტორებთან შეთანხმებით სქემების პროცედურებს, რაც რეაბილიტაციასთან არ არის კავშირში და შემდგომ თავში იქნეა განხილული[18].

გადახდისუუნარობის სამართლის განვითარების მცირე ისტორიული რაკურსიდან ჩანს, რომ ხისტი, მოვალის პირდაპირი გაკოტრებით დაწყებული წესები დროთა განმავლობაში რბილდება და სხვა მიზანს ისახავს. მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ კრედიტორების დაკმაყოფილება, არამედ, მოვალესაც ეძლევა შანსი გარკვეული საშუალებებით შეძლოს გადახდისუუნარობიდან თავის დაღწევა, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა და ერთ-ერთ მთავარი რგოლია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

2) გადახდისუუნარობის სამართლის საჭიროება და მნიშვნელობა

„გადახდისუუნარობის ეფექტიანი კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. მოქნილი მექანიზმების არსებობას და პროცესის განჭვრეტადობას ფინანსური პრობლემების წინაშე მდგომი საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობაც, შექმნას იმგვარი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უპასუხებს არსებულ გამოწვევებს და ხელს შეუწყობს ფინანსური სირთულეების პერიოდში საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას“[19]. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ფინანსური სირთულეების წინაშე მდგომი კომპანიების მენეჯერები და დირექტორები შეიძლება მეტად იყვნენ მონდომებულნი, გამოიყენონ გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, თუკი სამართლებრივი

[18] Stefan Albrecht Riesenfeld, article on “Rehabilitation and reorganization of insolvent estates”, https://www.britannica.com/topic/bankruptcy/Rehabilitation-and-reorganization-of-insolvent-estates

[19] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გვ1. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931

ჩარჩო უზრუნველყოფდა სათანადო წამახალისებელი ფაქტორების არსებობას დროული ინტერვენციის წასახალისებლად.

მოვალეები ყოველთვის არ არიან თაღლითები ან არაკომპეტენტურები, ისევე როგორც კრედიტორები არ არიან ყოველთვის მიმტაცებლები და ეგოისტები. როგორც დამტკიცებულია ბოლოდროინდელი გამოცდილებით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები შეიძლება აღმოჩნდნენ ეკონომიკურად ცუდ მდგომარეობაში არაკომპეტენტურობის გამო, მათი საქმიანობა ასევე შეიძლება ჩაიშალოს მათი კონტროლის მიღმა არსებული ეკონომიკური სირთულეების შედეგად. ეფექტურმა გადახდისუუნარობის სამართალმა ასეთ კრიტიკულ სიტუაციების დროს შეიძლება დიდი როლი ითამაშოს. ზოგადად, სამართლის ამ დისციპლინამ უნდა უბიძგოს მოვალეს აიმაღლოს კომპეტენცია კონკურენტულ გარემოში და ხელი შეუწყოს კრედიტის გაცემას. ფინანსური კრიზისის კონტექსტში, რომელშიც მთელი საწარმო სექტორია ჩართული, გადახდისუუნარობის ეფექტურ კანონს შეუძლია უზრუნველყოს სასარგებლო საშუალებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კერძო კრედიტორები შეიტანენ წვლილს კრიზისის მოგვარებაში თავისი სურვილით[20].

გამოიკვეთა, რომ გადახდისუუნარობის სამართლის არსებობა საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საწარმოო პროცესების სტაბილური მიმდინარეობისთვის. ხოლო მისი მნიშვნელობა გამოიხატება კრედიტორებისთვის მოთხოვნების შესაბამისი სამართლიანი პროცესებით დაკმაყოფილებასა და მოვალისთვის ფინანსური სირთულეების პერიოდში სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის შესაბამისი რეგულაციების ჩამოყალიბებაში.

3)ქართული გადახდისუუნარობის სამართლის განვითარება

ქართული გადახდისუუნარობის სამართლის განვითარების ცალკე განსახილველ თავად გამოყოფა მნიშვნელოვანია, რადგან მისი განვითარების საფეხურებთან

[20] "General Objectives and features of Insolvency procedures" Author: International Monetary Fund., 1999, pg. 8.

ერთად იცვლებოდა კანონის მიზანი, რაც პირდაპირ უკავშირდება ნაშრომს და წარმოაჩენს თანამედროვე შეხედულებებს გადახდისუუნარობის სამართლის მიზანთან დაკავშირებით, რადგან დღეს მოქმედი კანონი სწორედ რომ სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებულ წესებს გვთავაზობს.

საქართველოში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე მოქმედებდა ჯერ 1996 წელს მიღებული კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, ხოლო შემდგომ 2007 წლის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი. 1996 წელს ჩამოყალიბებული რედაქციის პირველივე მუხლში მოცემულია, რომ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მიზანია კერძო ვალაუვალი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების საფუძვლიანი გადაწყვეტა სასამართლოსმიერი სანაციის ან სასამართლოსმიერი ლიკვიდაციის საშუალებით. ლიკვიდაცია გაკოტრების საფუძველზე დაუშვებელია სანაციის გამოყენების შესაძლებლობათა წინასწარ შეუმოწმებლად. ამასთან, ლიკვიდაცია არ უნდა დააბრკოლოს გაუმართლებელმა და არარეალურმა სანაციამ.[21] აღნიშნული კანონი ვალაუვალ მოვალეს პირდაპირ გაკოტრების გზას უსახავდა და მისთვის უცნობი იყო რეაბილიტაციის შესაძლებლობა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კრედიტორების ინტერესები საწარმოს გადარჩენაზე მაღლა იდგა და არ განიხილებოდა სხვა შესაძლო ვარიანტები, რაც თავის მხრივ კრედიტორს შესაძლებლობას მისცემდა მოთხოვნები სრულად დაეკმაყოფილებინა და მეორე მხრივ, მოვალეს შესაძლებლობა ექნებოდა შეენარჩუნებინა სიცოცხლისუნარიანობა. მოვალის მიერ ვადამოსული მოთხოვნების გადახდის შეუძლებლობა პირდაპირ სასჯელს უქადდა და გარდაუვალ გაკოტრებას ვერ აირიდებდა თავიდან. ამ კანონში შემდგომ შეტანილ ცვლილებებთან ერთად უფრო ლაკონურად და განსხვავებულად ჩამოყალიბდა პირველი მუხლი, რამაც რეალური სურათი საგრძნობლად შეცვალა. 2001 წელს გაჩნდა მოვალის

[21] საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ (მიღების თარიღი: 25/06/1996, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996).

გადარჩენის მექანიზმები და კანონის მიზნად ჩამოყალიბდა მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევა და მოვალის საწარმოს ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება[22]. აქვე მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა მოვალის ქონების შეფასების ერთ-ერთი საშუალება გახდა, რაც მისი გადარჩენის საკითხის განხილვას მნიშვნელობას სძენდა.

კანონმა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ ძალა დაკარგა 2007 წლის 15 აგვისტოს, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. კანონის მიზანი გახდა მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება[23]. აღნიშნული კანონით ქართულმა კანონმდებელმა გადახდისუუნარობის სამართალში მიზნად დაისახა ორივე მხარის უფლებები თანაბრად დაეცვა, მაგრამ რეალობამ და მისმა ბუნდოვანებამ ეს იდეალური მიზანი ვერ გაამართლა. კანონი არ პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რა მიზნითაც შეიქმნა და რეალურად შეუძლებელს ხდიდა კრედიტორებს თავისი უფლებები თანაბარ პირობებში დაეცვა, რაც პირველ რიგში, გამოწვეული იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების აფსურდული და კრედიტორებისთვის თითქმის შეუძლებელი პირობების დაკმაყოფილების მოთხოვნა. მოვალე თუ არ მიმართავდა სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით და კეთილი ნებით, კრედიტორი შეიძლება ითქვას, შეზღუდულიც კი იყო ამ უფლების გამოყენებაში. კანონი მოვალის კეთილსინდისიერ ქცევაზე იყო მეტ წილად დამოკიდებული. ამ პირობებში მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონის მოქმედების მომენტისთვის იქნა მიღებული.

---

[22] საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (მიღების თარიღი: 25/06/1996, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996). 2001 წლის 10 აპრილის კანონი.

[23] საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ (მიღების თარიღი: 28/03/2007, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: სსმ, 9, 31/03/2007).

სასამართლომ იმსჯელა, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესით - სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ეს დანაწესი მოიცავს მთელ კერძო სამართალს, რომელსაც ავსებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და იმანენტურ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს ზოგადად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე ვალდებულებისაგან გათავისუფლებით. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა[24]. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეხება გაკოტრების სამართალს, მაგრამ გამოხატავს იდეას, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების დაცვა არ არის სწორი მიზანი და საშუალება სამართლიანი გარემოს შექმნისთვის კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობაში. გადაწყვეტილება კანონში ჩამოყალიბებულ მიზანსაც ეხმიანება- დაცული იყოს

[24] იხ. საქმე # სა-264-250 2-15, 18 მაისი 2016 წელი№ას-570-541-2015,11 ნოემბერი, 2015 წელი.

ორივე მხარის ინტერესები თანაბარზომიერად, მაგრამ მისი მიღწევის შესაძლებლობა ისევ და ისევ მათ კეთილსინისიერებაზეა დამოკიდებული.

ახალმა კანონმა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ გამოასწორა წინა კანონებში დაშვებული შეცდომები და უფრო მეტად რეალური და აღსრულებადი მიზანი დაისახა. პირველივე მუხლში ვკითხულობთ, რომ „ამ კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით“. შემდგომ კანონის სხვა დებულებებში ვკითხულობთ, რომ რეაბილიტაცია მაშინაა შესაძლებელი, თუ კრედიტორი მიიღებს იმას, რასაც გაკოტრების რეჟიმის დროს მიიღებდა. შესაბამისად, უპირველესია კრედიტორის ინტერესი, ხოლო მოვალის გადარჩენა კრედიტორების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და დაცვის პარალელურად განიხილება. კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა რეგულირებული შეთანხმება, რომელიც მოვალის გადახდისუუნარობას, ან მოსალოდნელ გადახდისუუნარობას მასსა და მოვალეს შორის დადებული შეთანხმებებით გამოასწორებს. მაგრამ აქ მაინც მნიშვნელოვანია, რომ თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, კრედიტორმა მინიმუმ იმდენი უნდა მიიღოს, რამდენსაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა. ეს რედაქცია ამ პერიოდისთვის საბოლოოა და ჯერ-ჯერობით, როგორც სიახლეს, მნიშვნელოვანი შედეგები და გამოცდილება არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ ვფიქრობ წინა კანონებთან შედარებით უფრო მეტად პერსპექტიულია.

4) გერმანული გადახდისუუნარობის სამართლის განვითარება

გერმანიის გადახდისუუნარობის სამართლის ისტორიის განხილვის ცალკე გამოყოფა, ქართულთან ერთად მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზისთვის. ამასთანავე, ეს ქვეყნები ერთი სამართლის სისტემის წარმომადგენლები არიან და

ქართული სამართლის განვითარებაში გერმანულის როლი მნიშვნელოვანია. ამიტომაა საინტერესო როგორ ვითარდებოდა გერმანული გადახდისუუნარობის სამართალი და რა ეტაპები გაიარა მან გადახდისუუნარობის კანონის მიზნის თანამედროვე სახით ჩამოსაყალიბებლად.

გერმანიის 1999 წლის გადახდისუუნარობის კანონის ძალაში შესვლამდე, გადახდისუუნარობის სამართლი სისტემა ორ ნაწილად იყო მოწესრიგებული. პირველი, ეს იყო 1877 წლის გაკოტრების კანონი[25]და ანგარიშსწორების კანონი[26]. 1990-იან წლებში გადახდისუუნარობის სამართალი კოლექტიურმა აღსრულების კანონმა გააძლიერა[27], რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა. იგი ამოქმედდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო GDR ეკონომიკის მომავალი სტრუქტურული გარდაქმნა და აღნიშნული უნდა განხორციელებულიყო KO და VerglO წესების დაცვის გარეშე, რომელიც ითვლება მოძველებლად და საჭიროებდა რეფორმას[28].

აღნიშნული ცვლილების განხორციელების იდეა წამოვიდა იმ შედეგებიდან და ფაქტებიდან, რაც გადახდისუუნარობის სამართალში არსებული კანონების მიერ იმ მიზნის ვეღარ შესრულებამ განაპირობა, რისთვისაც იყო დაწერილი. მაგალითისთვის, საწარმოს გაკოტრების რეჟიმის პროცედურები 1980 წლისთვის 25 პროცენტით შემცირდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლიკვიდაციის 75 პროცენტი არ წარიმართა დამაკმაყოფილებლად აქტივების ნაკლებობის გამო. სამაგიეროდ, გადახდისუუნარო ბიზნესები ან დარჩნენ და გააგრძელეს საქმიანობა, ან დაიხურნენ სასამართლოს მიერ ზედამხედველობის განხორციელების გარეშე. ამის შედეგად, აღარ იყო შესაძლებელი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება

[25] Konkursordnung, KO
[26] Vergleichsordnung, VerglO
[27] Gesamtvollstreckungsordnung, GesO
[28] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.3

და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორი ახერხებდა მიწვდომოდა მოვალის აქტივებს[29].

მეორე მხრივ, თუნდაც გადახდისუუნარო საწარმოს ჰქონოდა შესაძლებლობა, მისი რესტრუქტურიზაცია შეუძლებელი იყო მკაცრი და ფორმალური მიდგომების გამო. ამის გამო საწარმოებმა დაიწყეს „რესტრუქტურიზაცია გადაცემის გზით", გაკოტრების გამოყენებით წარმოება, როგორც რესტრუქტურიზაციის ინსტრუმენტი, რათა გაეყიდათ საწარმო, როგორც მუდმივი საქმიანობა. ამის შედეგად VerglO გახდა სრულიად მოკლებული თავის მნიშვნელობას[30]. ამ კანონს უნდა შეესრულებინა მოვალის გადარჩენის მიზანი, მაგრამ ამ მიზნისთვის შეუსაბამო რეგულაციებმა, მაგალითად როგორიც იყო პროცესის სიძვირე, ვერ შეასრულა გათვალისწინებული იდეა.

რეფორმის წლებმა დაახლოებით 20 წელს გასტანა იმისთვის, რომ გადახდისუუნარობის სამართალი ისევ ამუშავებულიყო. აღნიშნული წლები მოიცავდა მუდმივ განხილვებსა და კამათს, მრავალ გამართულ სესიას, შემდგომ 1991 წელს გამოქვეყნდა გადახდისუუნარობის სამართლის კანონპროექტი და კიდევ 3 წელი მიდიოდა ცვლილებების განხორციელება მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე. გადახისუუნარობის შესახებ ახალი კანონი ძალაში შევიდა გადახდისუუნარობის შესავალ აქტთან[31] ერთად 1999 წელს. გადახდისუუნარობის კოდექსი პასუხობს KO-ს და VerglO–ს სისუსტეებს და მისი შექმნით უფრო გაადვილდა პროცესის დაწყება და ამავდროულად რეალიზაციის ყველა ვარიანტის გაერთიანება მოხდა ერთ ნაკრებში, როგორც გადახდისუუნარობის ერთიანი პროცესი. როდესაც კანონი ძალაში შევიდა 1999 წელს, InsO-მ ამავე დროს

[29] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.3

[30] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.3

[31] inführungsgesetz zur Insolvenzordnung, EGInsO

დაადგინა სამართლებრივი ერთგვაროვნება მთელ გერმანიაში[32]. გადახდისუუნარობის საქმის დაწყების მოთხოვნები ჩამოყალიბდა ისე, რომ განაცხადზე უარის თქმა არასაკმარისი აქტივების გამო გახდა გამონაკლისი წინა კანონებში ჩამოყალიბებული წესებისგან განსხვავებით. მხარეებს პროცესის მიმდინარეობის დროს მიეცათ საკმაო თავისუფლება და ავტონომია, სასამართლო გახდა პროცესის დამკვირვებელი და გადახდისუუნარობის გეგმა დაინერგა საშუალებად, რომელიც არა მხოლოდ რესტრუქტურიზაციისთვის არამედ მოვალე სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესშიც უნდა გამოყენებულიყო[33]. ამ ყველაფერმა კი გამოკვთა, რომ მოვალის გადარჩენის ნაცვლად, გერმანიას უფრო მეტად კრედიტორების დაკმაყოფილების შესაძლებლობის გაზრდა სურდა. ამ პერიოდის განმავლობაში სხვა მნიშვნელოვანი წესების ცვლილებაც მოხდა, მაგალითად კრედიტორთთა უფლებების გაძლიერების მიზნით. მოვალეებს მიეცათ შესაძლებლობა წარედგინათ რესტრუქტურიზაციის გეგმა თავისი მმართველობით, რაც ემსახურება ორივე მხარის მოძლიერებას, მაგრამ უფრო მეტად იხრება კრედიტორების კეთილდღეობისკენ.

[32] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.3.

[33] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.4.

III) გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი

გადახდისუუნარობის სამართლის და მისი მიზნების განვითარების ისტორიული მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია, რომ გამოვყოთ მოვალის გადარჩენა და კრედიტორის ინტერესების უპირატესად დაკმაყოფილება, განვიხილოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა და მიზნის მიღწევის საშუალებები ცალ-ცალკე.

ცალკეული ქვეყნისთვის გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საშუალებები განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებები, რომელთაგანაც გამოვყოფ ნაშრომს "General Objectives and features of Insolvency procedures". აღნიშნული ნაშრომი განხილული იქნება ამ თავის ზოგადი მიმოხილვისთვის.

ქვეყნები სამართლის განსახილველი სფეროს მიხედვით საკმაოდ განსხვავებულები არიან, მაგრამ ამ შემთხვევისთვის, მიზანშეწონილია ორი მიზნის გამოყოფა, რომელსაც ზოგადად იზიარებს სამართლის სისტემების უმეტესობა[34].

პროგნოზირებადობა. პირველი არის რისკის გადანაწილება პროგნოზირებად, სამართლიან და გამჭირვალე ფორმით სამართალურთიერთობის მონაწილეებს შორის. ამ მიზნის მიღწევა თამაშობს კრიტიკულ როლს ნდობის ჩამოყალბებაში საკრედიტო სისტემაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული მხარის ეკენომიკურ ზრდას.

სამართლიანი მოპყრობა. ყველა გადახდისუუნარობის საქმის საერთო მახასიათებელი არის მათი კოლექტიური ხასიათი. სხვა სამართლის სფეროსგან განსხვავებით, გადახდისუუნარობის სამართალი შექმნილია იმისთვის, რომ მიმართული იყოს სიტუაციისკენ, რომელშიც მოვალეს აღარ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს ვალები და გვაწოდებს შესაძლებლობებს რომლებიც კრედიტორებს

[34] "General Objectives and features of Insolvency procedures" Author: International Monetary Fund, 1999, pg. 5.

დაეხმარება სამართლიანობის აღდგენაში-მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება. რაც მნიშვნელოვანია, სამართლიანი მოპყრობა არ გულისხმობს თანასწორ მოპყრობას[35].

გამჭვირვალობა. გამჭვირვალობა გულისხმობს კრედიტორების უფლებას დროულად მიიღონ სასურველი და დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით.

გადახდისუუნარობის კანონის მეორე მიზანია დაიცვას და გაზარდოს ღირებულება ყველა დაინტერესებული მხარის და ზოგადად ეკონომიკის სასარგებლოდ. ეს მიზანი აშკარად რეაბილიტაციის პირობებში უნდა იყოს დასახული. მაგრამ აქ ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს იმ საწარმოების ლიკვიდაცია, რომლებიც რეაბილიტაციით მაინც ვერ გადარჩებიან. ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს მათთვის შესაბამისი პროცედურები. ღირებულების მაქსიმიზაციის მიზნის მიღწევა ხშირად ხელს უწყობს რისკის თანაბარი განაწილების მიზნის შესრულებას. მაგალითად, თაღლითური გარიგების ბათილობა, რომელიც წარმოიშვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების წინ, უზრუნველყოფს კრედიტორების სამართლიან მდგომარეობაში ჩაყენებას და ზრდის მოვალის ქონებას. რა თქმა უნდა, შესაძლებელია გაჩნდეს წინააღმდეგობა ამ მიზნებს შორის. მაგალითად, წინასწარი გარიგებების ბათილობა ასევე ვრცელდება არათაღლითურ გარიგებებზე, რამაც შეიძლება შეაფერხოს პროგნოზირებადობის მიზანი. მსგავსად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს ბევრი ქვეყანა შესაძლებლობას აძლევს ლიკვიდატორს ან ადმინისტრატორს (დამოკიდებულია ქვეყნის პროცედურულ მიდგომაზე) რომ ჩაერიოს იმ ხელშეკრულების დებულებებში, რაც დადებულია მოვალისა და მეორე მხარეებს შორის. სანამ უფლებამოსილი პირის მოქმედებები მოგვაწვდიან მნიშვნელოვან შედეგებს მოვალის ქონების ღირებულების გასაზრდაში, ის ასევე ძირს უთხრის

[35] "General Objectives and features of Insolvency procedures" Author: International Monetary Fund, 1999, pg. 6.

პროგნოზირებადობას სახელშეკრულებო ურთიერთობებს, რაც კრიტიკულია ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილებებისთვის[36].

გადახდისუუნარობის კანონის შემუშავებისას არჩევანი უნდა გაკეთდეს იმაზე თუ როგორ უნდა იყოს ზემოაღნიშნული მიზნები დაბალანსებული თითოეული მათგანის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, არჩევანი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ ვინ იქნება ბენეფიციარი იმ ღირებულებისა, რომელიც მაქსიმალურად არის გაზრდილი: მაშინ როცა ზოგიერთი ქვეყანა უყურებს სარეაბილიტაციო პროცედურებს, როგორც საშუალებას კრედიტორებისთვის მათი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის, ხოლო ზოგი ქვეყანა განიხილავს მას როგორც "მეორე შანსს", საშუალებას აქციონერებისა და მოვალის გადასარჩენად[37]. მაგალითად, გერმანული გადახდისუუნარობის სამართლის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად სახელდება ეფექტური ლიკვიდაციის პროცედურა, რომლის დროსაც კრედიტორების მაქსიმალური კმაყოფილება არის ერთადერთი მიზანი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, გააგრძელოს ვალდებულება თუ დაიხუროს ის, განიხილება კრედიტორების მიერ[38]. საიდანაც ჩანს, რომ გერმანული გადახდისუუნარობის სამართალი კრედიტორების მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილებაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ კი შესაძლებელია მოვალის გადარჩენა, ამისთვის გადახდისუუნარობის კანონის გარდა, როგორც ეს დადგენილია InsO– ში, არსებობს მხოლოდ რამდენიმე სხვა სამართლებრივი დებულება, რომლებიც ადგენს გარკვეულ მოვალეობებს ან შესაძლებელს ხდის რესტრუქტურიზაციას სიტუაციებში, სადაც საფრთხე ემუქრება მოვალის ეკონომიკურ საარსებო წყაროს[39]. ამის საპირისპიროდ, ინგლისის გადახდისუუნარობის 1986 წლის აქტში 2000 წელს შევიდა ისეთი ძირეული

[36] “General Objectives and features of Insolvency procedures” Author: International Monetary Fund, 1999, pg. 7.
[37] იხ. იქვე
[38] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.2
[39] იხ. იქვე

ცვლილებები, რასაც ხელი უნდა შეეწყო მოვალის გადარჩენისა და რეაბილიტაციისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, ითვალისწინებს კრედიტორებისთვის სამართლიან მოპყრობასაც[40].

1) მოვალის გადარჩენის მიზანი

გადახდისუუნარობის სამართალი მხოლოდ მოვალის გადარჩენას კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან განცალკევებით არ განიხილავს. ეს გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარო მოვალისთვის არასდროს იცვლება, რაც გამოიხატება სამართლის ამ სფეროში ისტორიული განვითარების ეტაპებით. მოვალის რეაბილიტაციაზე ფიქრი გაკოტრების სამართლის ჩამოყალიბებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ დაიწყო. მნიშვნელოვანია, რომ მოვალის გადარჩენის მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები ემსახურებოდეს არა მხოლოდ წარმოების პროცესის გაგრძელებას, არამედ მომავალში მისი საქმიანობის პერსპექტივასა და რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამართლებას.

საქართველოში ახალი კანონი მთლიანად ორიენტირებულია რეაბილიტაციის უპირატესად გამოყენებაზე, რაც ცალსახად უსვამს ხაზს, რომ მისი მიზანი არა გაკოტრება, არამედ მოვალისთვის შანსის მიცემა გადადგას ნაბიჯები გადარჩენისკენ. ამ მიზნით იგი ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვითაც სასამართლოში მოვალის მიმართ რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების მოთხოვნით შეტანილ განცხადებას ენიჭება უპირატესობა გაკოტრების რეჟიმის დაწყების მოთხოვნით შეტანილ განცხადებასთან შედარებით. ეს ხდება მაშინაც კი, თუ გაკოტრების რეჟიმის დაწყების შესახებ განცხადება უფრო ადრეა შეტანილი. ეს კი

[40] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.15

ნიშნავს, რომ სასამართლო უპირველესად იხილავს განცხადებას მოვალის მიმართ რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების შესახებ[41].

მოვალის გადარჩენა მხოლოდ რეაბილიტაციის რეჟიმით არ ხდება, ამიტომ ამ თავში ასევე განხილული იქნება ის მექანიზმი, რაც სასამართლოში რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დაწყების გარეშე გადაწყდება. ასევე მნიშვნელოვანია ის საშუალებები, რაც ხელს შეუწყობენ მიზნის მიღწევის სწორ და ეფექტიან წარმართვაში და აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანი დეტალურად იქნება განხილული.

A) მოვალის გადარჩენის მნიშვნელობა - ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი

ეკონომიკური სტაბილურობა სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა, ხოლო სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია მაშინ, როდესაც საწარმოები იქმნებიან და კოტრდებიან. საქართველოს მაგალითი რომ განვიხილოთ, 2016 წელს გახსნილი 41 გადახდისუუნარობის საქმის წარმოებიდან რეაბილიტაციით დასრულად მხოლოდ 2 საქმე, ხოლო 2017-2018 წლებში რეაბილიტაციის მაჩვენებელი ნულია შესაბამის წლებში მიმდინარე 25 და 8 საქმიდან. რაც შეეხება 2019 წელს, 1 ივნისის მდგომარეობით გადახდისუუნარობის საქმე გაიხსნა 19 სუბიექტის მიმართ და გადახდისუუნარობის რეჟიმად არც ერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული რეაბილიტაცია[42].

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია მის უნარზე, უზრუნველყოს გრძელვადიანი უსაფრთხოება და სტაბილურობა, ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ჩარჩოს შექმნით, რაც ერთი მხრივ ქმნის საჭირო პირობებს ეკონომიკური აგენტების ხელსაყრელი თანამშრომლობისთვის და

---

[41] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გვ15.
https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931

[42] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“- წყარო: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსგან მიღებული სტატისტიკური მონაცემები.

მეორე მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნის ინტეგრირებას რეგიონულ და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებში[43]. ნატოს ეფექტის შედეგების მიხედვით, ბიზნესის აქტივობა ეკონომიკური სტაბილურობის განმაპირობებელ ერთ-ერთ რგოლშია. სიღრმისეული ეკონომიკური კვლევა კი ცხადყოფს, რომ გადახდისუუნარობის არაეფექტიანი საკანონმდებლო ჩარჩო ცალსახა ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე[44] და კანონის არაეფექტიანობა შესაძლოა სწორედ გამოხატოს იმ შემთხვევაში თუ გადახდისუუნარობის კანონმდებლობა უფრო მეტად ორიენტირებული იქნება მოვალის სწრაფ გაკოტრებაზე. სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ მოვალის გადარჩენა არ შეიძლება იყოს მეორეხარისხოვანი პრიორიტეტი და პირველ რიგში, უნდა განიხილებოდეს ყველა შესაძლებლობა, რაც ამ მიზნის წარმატებით განცხორციელებისთვის მნიშვნელოვანია.

ეკონომიკური სტაბილურობისთვის, ზემოთ ჩამოყალიბებული აზრის საწინაღმდეგოდ, შეიძლება ითქვას, რომ ასევე მნიშვნელოვანია იმ საწარმოების ეკონომიკური ბაზრიდან ამოშლა, რომლებიც უსარგებლოები არიან და მათი გაკოტრება უფრო მეტ სარგებელს მოიტანს ვიდრე გადარჩენა. მაგალითისთვის, კრედიტორებს გადახდისუუნარობის სამართალში ძირითადად სხვა საწარმოები წარმოადგენენ, რომელთა ფუნქციონირებაც დამოკიდებულია მოვალეთა მიერ ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულებაზე. თუ მოვალე მუდმივად არღვევს ვადებს და ამით უქმნის სხვა საწარმოებს საფრთხეს, ამავდროულად არ ცდილობს შესაბამისი ზომების მიღებას, ასეთი ბიზნესი არ შეიძლება სარგებლის მომტანი იყოს და განაგრძოს ბაზარზე ოპერირება. აქ კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, იკვეთება სახელმწიფოს ინტერესიც ამოშალოს ასეთი კომპანიები სამეწარმეო რეესტრიდან.

დადგენილია, რომ სამართლებრივ გარემოსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის, მყარი კავშირი არსებობს. კერძოდ, ძლიერი გადახდისუუნარობის საქმის

---

[43] ნატოს ეფექტი ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე და მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის, ანალიტიკური ანგარიში N2, 2016 წელი, გვ. 6.

[44] განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, გვ. 1.

წარმოების სისტემები და კრედიტების დაცვა იწვევს კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრების განვითარებას, აუმჯობესებს საწარმოების ფინანსური პირობებს, ხელს უწყობს მეწარმეობას და საწარმოების დაფუძნებას და საბოლოოდ, მას მივყავართ ხელსაყრელ მაკროეკონომიკურ შედეგებამდე[45].

B) მოვალის გადარჩენის მექანიზმები

მოვალის გადარჩენისთვის შესაბამისად ჩამოყალიებული საკანონმდებლო ჩარჩო მისი წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას ზრდის. სწორედ ამიტომ არსებობს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ჩამოყალიბებული სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც შესაძლებელია თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებული იყოს. მაგალითად, რეგულირებული შეთანხმება ინგლისის სამართლისთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომლის დანერგვაც საქართველომაც მოახერხა ახალი კანონის მიღებასთან ერთად და საინტერესო იქნება პრაქტიკაში მისი განხორციელება. აღნიშნულ მექანიზმს ბევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა ჯერ კიდევ არ იცნობს. რეგულირებული შეთანხმებისგან განსხვავებით რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნა ყველასთვის საერთო საშუალებაა. ამ პროცესებთან ერთად მნიშვნელოვანია ის ქმედებები, რაც მოვალემ უნდა განახორციელოს და ასევე ის საშუალებები, რაც რეაბილიტაციის პროცესს ხელს შეუწყობს და მოვალე არ შეწყვეტს სამეწარმეო საქმიანობას.

ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო ის, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც "წინასწარი გადახდისუუნარობის" პროცედურები, რომლებიც, ფაქტობრივად, სასამართლოს გარეთ რეაბილიტაციის ჰიბრიდია და ფორმალური სარეაბილიტაციო პროცედურები გააჩნია. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, გამოიცა რეგულაციები, რომლებიც სასამართლოს საშუალებას აძლევს დაამტკიცოს რეორგანიზაციის გეგმა გადახდისუუნარობის კანონის რეაბილიტაციის თავის

[45] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“,გვ13.
https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931

ქვეშ (თავი 11) მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერა იყო საჭირო კრედიტორებისგან, როგორც ამ თავით სასამართლოს დამტკიცების პირობა იყო მიღებული კენჭისყრით, რომელიც ოფიციალური სარეაბილიტაციო პროცედურების დაწყებამდე განხორციელდა. ასეთი "წინასწარ შეფუთული გაკოტრების შესახებ რეგულაციები“ შექმნილია ხარჯების და დაგვიანებული გადახდების შესამცირებლად და ასოცირდება ფორმალურ სარეაბილიტაციო პროცედურების იმ საშუალებებთან, რომლითაც რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება დამტკიცდეს ერთხმად კრედიტორების მხარდაჭერით. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს „მეგობრული“ მორიგების დადებას კრედიტორებთან ერთად, მოვალეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დანიშნოს "შემრიგებელი". შემრიგებელს არ აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება, მაგრამ შეუძლია მოითხოვოს სასამართლოსგან, რომ დააწესოს აღსრულების შეჩერება ყველა კრედიტორის წინააღმდეგ, თუ მისი განაჩენი ხელს შეუწყობს მორიგების შეთანხმების დადებას. ამ რეჟიმში ყოფნის დროს მოვალეს არ შეუძლია გადაიხადოს გადასახადი ან წინასწარი მოთხოვნები ხელფასების გარდა ან განკარგოს ნებისმიერი სხვა აქტივი გარდა ბიზნესის რეგულარული ვალდებულებებისა. პროცედურა მთავრდება კრედიტორებთან ან მთავარ კრედიტორთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო შეიძლება გაგრძელდეს შეთანხმებაში არამონაწილე კრედიტორების სასარგებლოდ მოვალისთვის ორ წლიანი საშეღავათო პერიოდის უზრუნველყოფით[46].

კიდევ ერთი მეთოდია "ლონდონის მიდგომა". ამ მიდგომით ბანკებს მოუწოდებენ გამოხატონ მხარდაჭერა მათი მოვალეების მიმართ ფინანსური სირთულეების დროს. გადაწყვეტილებები მოვალის გრძელვადიანი მომავლის შესახებ უნდა გაკეთდეს მხოლოდ ყოვლისმომცველი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაზიარებულია ყველა ბანკს შორის და სხვა მხარეებს შორის სამუშაოდ. შუალედური დაფინანსება ხელს უწყობს ხელშეკრულება დაექვემდებაროს

[46] “General Objectives and features of Insolvency procedures” Author: International Monetary Fund., 1999, pg. 15.

ბანკების სხვა კრედიტორებთან ერთად მუშაობას კოლექტიური შეხედულების მისაღწევად. უნდა განისაზღვროს შეუნარჩუნდეს თუ არა და რა პირობებით კომპანიას ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა. აღნიშნული მიდგომა საკმაოდ წარმატებულია ფინანსური კრიზისის დროს[47].

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან საკმაოდ საინტერესოა ლონდონის მიდგომა. ვფიქრობ, რომ საკრედიტო დაწესებულებები სწორედ ის ინსტიტუტებია, რომლებიც მკვეთრად განსაზღვრავენ მოვალის ფინანსებს. ასევე წარმოადგენენ ფინანსურად ძლიერ დაწესებულებებს. მათი მხარდაჭერა იმის ნაცვლად, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს ერთ-ერთ მსხვილ კრედიტორს წარმოადგენდეს, მნიშვნელოვანია ამ პროცესის დაწყებამდე, რათა მოვალემ თავიდან აიცილოს ზედმეტი ხარჯები. აღნიშნული მიდგომა ბევრმა ქვეყანამ უნდა გაიზიაროს და მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებების კეთილ ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული შეღავათები, რასაც გაერთიანებული სამეფო სთავაზობს ბიზნესს. რა თქმა უნდა, აქ გასათვალისწინებელია როგორც ბიზნესის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სტაბილური გარემო. შესაბამისად, სათანადო გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ბიზნესების გაკოტრების შესამცირებლად და სიცოცხლისუნარიანობის მისანიჭებლად.

a) მოვალის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროული გახნსა

მოვალის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროული გახსნა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენაც ეს ხელს შეუწყობს მეტი აქტივის დროულად შენარჩუნებას. კომპანიის ფინანსური კრიზისის საწყის ეტაპზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, რეაბილიტაციის

[47] "General Objectives and features of Insolvency procedures" Author: International Monetary Fund., 1999, pg. 16.

განხორციელების შესაძლებლობა ბევრად მაღალია[48]. ვინაიდან, ბიზნესის კრიზისის პირველი ნიშნების გამოვლენის შემდეგ, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე გადაიხედება და გაკეთდება ანალიზი მოვალესა და კრედიტორებს შორის არსებულ მოცემულობის, კრედიტორთა დაკმაყოფილების მით უფრო მაღალი მაჩვენებელი მიიღწევა და, ამავე დროს, ბევრად მეტია შანსი, რომ ბიზნესმა თავი დააღწიოს კრიზისს და განაგრძოს ფუნქციონირება[49]. მოვალეს შესაძლებლობა ექმნება თავიდან აიცილოს გაკოტრება ან თუ მოვალის სიცოცხლისუნარიანობა ჩანს რომ შესაძლოა სამუდამო იყოს, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დროული გახსნა მოწესრიგებული და ეფექტური ლიკვიდაციის პროცესის წარმართვაში დაეხმარება. ამისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას მოვალის წახალისების მექანიზმები, რომლებიც მათ ფინანსური სირთულეების თავიდან აცილებაში დაეხმარებათ[50].

b) ხელშეკრულებების შესრულება

რაც უფრო მეტად ვითარდება ეკონომიკა, მისი მეტი ღირებულება მოცულია ან კონტროლდება ხელშეკრულებებით. ხელშეკრულებების შენარჩუნებას კი გადახდისუუნარობის პროცესში გადამწყვეტი როლი უკავია[51]. ამ პროცესს თან ახლავს თავისი სირთულეები, რადგან, როდესაც არსებობს ხელშეკრულება, არსებობს ვალდებულებები მოსალოდნელ სარგებელთან ერთად, რაც უნდა იქნეს შესრულებული მოვალის ქონებიდან, თუმცა, ამავდროულად, მიღებული შესრულება ხდება მისი აქტივი. ქონების ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის მიზნების მიღწევა და ვალდებულებების შემცირება მოვალის გადარჩენის

---

[48] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021 , გვ. 13.

[49] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 10

[50] DIRECTIVE (EU) 2019/1023 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, 2019

[51] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

საშუალებაა, რაც უნდა მოიცავდეს ისეთი ხელშეკრულებების მოქმედების შეუფერხებლად გაგრძელებას, რომელსაც მოაქვს სარგებელი. ხოლო უარი უნდა ითქვას ამ პროცესის განმავლობაში ისეთ ხელშეკრულებაზე, რომლის შესრულების ხარჯებიც აჭარბებს მის ღირებულებას ან სხვა მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს აქტივისთვის[52]. მაგალითისთვის, თუ მოვალე რაიმე ქონებას ან ნივთს მისი საბაზრო ღირებულების ნახევარ ფასად ყიდულობს, ხოლო შემდგომ მისი გაყიდვა საბაზრო ღირებულებით მომგებიანი იქნება, ასეთი ხელშეკრულებები შეჩერებული არ იქნება. უნციტრალი გადახდისუუნარობის სამართლის ამ მხრივ განვითარების კუთხით სთავაზობს ქვეყნებს, რომ კანონდებლობაში გათვალისწინებული იყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების დროისთვის შესასრულებელი ხელშეკრულებების ბედი, რათა შესრულდეს და ეფექტიანად წარიმართოს ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის და ვალდებულებების შემცირების მიზანი. უნდა განისაზღვროს უფლებამოსილების ფარგლები და შესაბამისი პირი, ვინც ხელშეკრულებების შესრულებისა და მათი ბედის გადაწყვეტაში იქნება მონაწილე. აუცილებლად უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებების ტიპი, რომლებიც გამოირიცხება ამ ტიპის უფლებამოსილებიდან, ასევე მნიშვნელოვანია იმ დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომლებსაც გავლენა ექნება ხელშეკრულებების გაგრძელებაზე. იტალიის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ერთ-ერთ მიზნადაა გამოყოფილი ყველა ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც ატარებს პირად ხასიათს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე თანახმაა ეს ხელშეკრულება გაგრძელდეს[53]. საქართველოს გადახდისუუნარობის ახალმა კანონმა რეაბილიტაციის რეჟიმის დროს მისი მმართველი გამოყო იმ უფლებამოსილების მქონე პირად, რომელსაც შეუძლია მოიწონოს ან შეწყვიტოს მოქმედი და დადოს ახალი ხელშეკრულებები. გერმანიის გადახდისუუნარობის კანონში ადმინისტრატორს აქვს მინიჭებული უფლებამოსილება ხელშეკრულებების სახეობებიდან გამომდინარე მიიღოს

[52] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

[53] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary, Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA pg. 10

გადაწყვეტილებები მათი ბედის შესახებ. მაგალითად, თუ ორმხრივი ხელშეკრულება არ შესრულებულა ან სრულად არ არის შესრულებული მოვალის მიერ, ადმინისტრატორი იღებს გადაწყვეტილებას. მას შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულება და მოითხოვოს შესრულება მეორე მხარისგან, ან უარი თქვას ამ შესრულებაზე. ასეთ დროს ხელშეკრულების მხარეს ვერ დააზიანებს მიმდინარე პროცესი, მას შეუძლია აღძრას სარჩელი და დაიკავოს ადგილი კრედიტორებს შორის[54].

ხელშეკრულებების შესრულება ან მისი არ შესრულება უნდა ემსახურებოდეს გადახდისუუნარობის მასის გაზრდას, შესაბამისად, ყოველი ხელშეკრულების შესრულება ან/და შესრულებაზე უარის თქმა უნდა იყოს მოვალის ქონებისთვის სარგებლის მომტანი. ხელშეკრულების შეუსრულებლობამ შესაძლოა უფრო მეტი ზიანი მოუტანოს მას, მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარეს მისი დარღვევისთვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება უჩნდება ზიანიდან გამომდინარე[55]. ამისთვის გადახდისუუნარობის კანონმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებების სახეობის განსაზღვრა, რომელთან დაკავშირებითაც უფლებამოსილ პირს ექნება შესაძლებლობა შესრულებასთან დაკავშირებით თავად მიიღოს გადაწყვეტილება და ასევე უნდა გამოიყოს ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა შესრულებაც ან არ შესრულებაც პირდაპირ განისაზღვრება კანონით.

c) რეაბილიტაციის რეჟიმისა და რესტუქტურიზაციის როლი მოვალის გადარჩენის მიზნის მისაღწევად

გადახდისუუნარობის თანამედროვე კანონმდებლობის ძირითადი აქცენტი კეთდება არა გადახდისუუნარო მოვალის ქონების ლიკვიდაციაზე და აღმოფხვრაზე, არამედ ეკონომიკური სირთულეების მქონე მოვალის ფინანსური

[54] German insolvency code of 5october 1994 (BGBL> [Federal Law Gazette] I p. 2866), last amended dated 15 july 2012 (Federal Law Gazette I p. 2379)

[55] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

და, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებაზე, რაც ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების საშუალებას მისცემს[56]. ამასთან ერთად, რეაბილიტაციის გეგმა მიმართული უნდა იყოს უპირატესად მოვალე-სუბიექტის გადარჩენისკენ, რა დროსაც კრედიტორული მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს კრედიტორული მოთხოვნების იმგვარ დაკმაყოფილებას, რომლის დროსაც თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა[57]. ამ შემთხვევაში რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნესის, გადარჩენას, ასევე მოვალის არსებითად მთლიანი ბიზნესის ან ქონების გასხვისებას, საქმიანობის გაგრძელებას კრედიტორების გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ განვასხვავოთ რეაბილიტაციის დროს ერთიანი კომპლექსის სახით ბიზნესის გაყიდვა გაკოტრებაში განხორციელებული იმავე ტიპის რეალიზაციისაგან. რეაბილიტაციაში ამგვარი გაყიდვა იმ პირობით დაიშვება, რომ ის უკეთესი შედეგების მომტანი უნდა იყოს კრედიტორთა ერთობლიობისთვის, ვიდრე არის გაკოტრებისას მისაღები მინიმუმი, რომელიც გამოიანგარიშება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდით[58]. საქართველოს მაგალითი რომ განვიხილოთ, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი[59] და „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი[60] შეიცავდა ზოგად ნორმას, რომლის მიხედვითაც, კანონის მიზანი მოვალისა და კრედიტორის თანაბარუფლებიანი დაცვა იყო, მაგრამ შეიცავდა ისეთ

---

[56] Stefan Albrecht Riesenfeld, article on “Rehabilitation and reorganization of insolvent estates”, https://www.britannica.com/topic/bankruptcy/Rehabilitation-and-reorganization-of-insolvent-estates

[57] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გვ13. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931

[58] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გვ13. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931

[59] საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.

[60] საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.

მოწესრიგებას, რომელიც არც მოვალის ეფექტიან რეაბილიტაციას უწყობდა ხელს და კრედიტორების დაკმაყოფილების პროცესსაც აბრკოლებდა. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ მოვალეთა და კრედიტორთა თანაბარუფლებიანი დაცვა მთავარი პრინციპი არ არის[61].

რეაბილიტაციის მიზანი მიღწეული ვერ იქნება თუ ეფექტიანად არ წარიმართება რეაბილიტაციის პროცესი. სწორი და სრულფასოვანი რეაბილიტაციის წინაპირობა კი არის რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც, ერთი მხრივ, მოვალის გადარჩენაზეა ორიენტირებული და, მეორე მხრივ, კრედიტორების კოლექტიურ, თანმიმდევრულ დაკმაყოფილებაზე[62]. გადახდისუუნარო მოვალის საქმიანობის სწორი წარმართვა რეაბილიტაციის საფუძველია. სწორედ ამიტომ უნდა შედგეს რეაბლიტაციის ისეთი გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს მოვალეს ფინანსური სირთულეები გადალახოს. იქიდან გამომდინარე, რომ კრედიტორს მოვალის გადარჩენის ინტერესი ნაკლებად აქვს და ამასთან შეიძლება პროცესი გაიწელოს გაკოტრების რეჟიმისგან განსხვავებით, შეილახება რეაბილიტაციისუნარიანი მოვალისა და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესები. რეაბილიტაციის სწორმა გეგმამ კი კრედიტორი უნდა დაარწმუნოს, რომ მხარი დაუჭიროს ბიზნესის გადარჩენას. მაგალითად, აშშ-ს გადახდისუუნარობის კოდექსის 1129(a)(7) პარაგრაფის თანახმად, თითოეულმა მოთხოვნის მფლობელმა გეგმის მიხედვით უნდა მიიღოს გეგმის ძალაში შესვლის დღისთვის იმაზე არანაკლები, რასაც მიიღებდა ამავე თარიღით გაკოტრების გზით. ეს არის საუკეთესო ინტერესის ტესტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ რეაბილიტაცია უფრო სასარგებლო იყოს კრედიტორებისათვის ვიდრე მოვალის გაკოტრება[63]. რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნისთანავე იწყება მოვალის ქონების

---

[61] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 14.

[62] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

[63] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 151, წყარო: UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, United Nation Publication Sales No. E.05.V.10 ISBN92-1-133736-4, New York 2005, pg. 218.

მობილიზება და შენარჩუნება. ბიზნესის გადარჩენის პროცესში გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება და გაზრდა რეაბილიტაციის თანმდევი პროცესი უნდა იყოს[64].

რეაბილიტაცია არ შეიძლება რესტრუქტურიზაციისგან განცალკევებით განვიხილოთ. პირიქით, მოვალის რეაბილიტაციის მიზნებისთვის, ხშირად, ეფექტიანი მექანიზმი მისი რეორგანიზაციაა. რეაბილიტაციას ხელს უწყობს რეორგანიზაცია იმგვარად, რომ მაგალითად ინვესტორმა ძველი პარტნიორების წილი შეამციროს, გახდეს ახალი პარტნიორი და ამავდროულად მოახდინოს ხარჯების ოპტიმატიზაცია და შეამციროს შტატები, რაც ხარჯების მინიმიზებას იწვევს. ამ დროს კომპანია უზრუნველყოფს, რომ ზედმეტ და არასაჭირო მიმართულებებზე მუშაობა შეზღუდოს ან საერთოდ ამოიღოს საქმიანობიდან[65].

გაკოტრების პროცედურებისგან განსხვავებით რეაბილიტაცია აძლევს კომპანიას „ამოსუნთქვის“ საშუალებას და ხელს უწყობს რესტრუქტურიზაციის გზით გადალახოს სირთულეები, სადაც მას შესაძლებლობა მიეცემა კრედიტორებთანაც მოაწესრიგოს ურთიერთობა. რეაბილიტაციას კრედიტორები დათანხმდებიან მაშინ, როდესაც დაინახავენ, რომ ამ გზით მათი სასარჩელო მოთხოვნები კმაყოფილდება და მიიღებენ იმაზე მეტს, ვიდრე გაკოტრების რეჟიმის დროს[66]. იმ პირობებში, როდესაც კომპანიის ღირებულება სულ უფრო მეტად ემყარება ტექნიკურ ნოუ-ჰაუს და „გუდ ვილს“, ვიდრე მის ფიზიკურ აქტივებს, საწარმოს ადამიანური რესურსების შენარჩუნება და საქმიანი ურთიერთობები შეიძლება იყოს კრიტიკული კრედიტორებისათვის, რომელთაც სურთ გახადონ მაქსიმუმი მათი მოთხოვნების ღირებულებიდან. სარეაბილიტაციო პროცედურები შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად სასარგებლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ისინი ხელს უწყობენ მოვალეთა რესტრუქტურიზაციას სანამ მათი ფინანსური

---

[64] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 18.

[65] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 19.

[66] “General Objectives and features of Insolvency procedures” Author: International Monetary Fund, 1999, pg. 13.

სირთულეები ძალიან მწვავე გახდება. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ქვეყნამ მიიჩნია, რომ ასეთი პროცედურები ემსახურება ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს, მოვალეთა მეორე შანსის მიცემით და, ამრიგად, წახალისებით კერძო სექტორისა და სამეწარმეო კლასის ზრდას[67].

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტურობა არ არის ერთადერთი რამ, რაც მხედველობაშია მიღებული გადახდისუუნარობის კანონების შემუშავებისას. არსებობს სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, რომელსაც ემსახურება ფორმალური სარეაბილიტაციო დებულებების არსებობა და, კერძოდ, პრობლემური საწარმოს თანამშრომლების დაცვა. ეს მოსაზრებები განმარტავს, თუ რატომ არის შემუშავებული განსხვავებული სარეაბილიტაციო დებულებები გსხვადასხვა ქვეყანაში. როდესაც ქვეყნები შეაფასებენ და მოახდენენ გადახდისუუნარობის კანონების რეფორმირებას, მთავარი კითხვა ხშირად ის იქნება, თუ როგორ იპოვონ შესაბამისი ბალანსი სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკური ინტერესებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ყველა მონაწილის ჩართულობას სისტემაში[68].

მნიშვნელოვანია ევროპული დირექტივის[69] რეკომენდაციები რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით, რადგან ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესის შენარჩუნება. 2019 წლის ივნისში ევროპარლამენტმა მიიღო დირექტივა (DIRECTIVE (EU) 2019/1023 of20 June 2019) „პრევენციული რესტრუქტურიზაციის ჩარჩოებზე, ვალის პატიებასა და დისკვალიფიკაციაზე (გაუქმებაზე), რესტრუქტურიზაციის პროცესების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შესახებ“. დირექტივა ნათლად გამოხატავს თანამედროვე ტენდენციებს და საჭიროებებს კრიზისში მყოფი ბიზნესის გადარჩენისთვის. იგი მოიცავს: ა) მოვალის ქონებისა და ვალდებულებების შემადგენლობის, პირობების ან სტრუქტურის ცვლილებას; ბ) კაპიტალის სტრუქტურის სხვა ნაწილის ცვლილებას, რაც შეიძლება იყოს ქონების ან ბიზნესის ნაწილის გაყიდვა; გ)

[67] “General Objectives and features of Insolvency procedures” Author: International Monetary Fund, 1999, pg. 14
[68] იხ. იქვე
[69] DIRECTIVE (EU) 2019/1023 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, 2019

კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედი ბიზნესის გაყიდვას; დ) სხვა ნებისმიერ საოპერაციო ცვლილებას; ე) აღნიშნული ელემენტების კომბინაციას[70].

რესტრუქტურიზაციამ ფინანსური სირთულეების მქონე მოვალეებს უნდა მისცეს საშუალება გააგრძელონ ბიზნესი სრულად ან ნაწილობრივ, მათი აქტივებისა და ვალდებულებების ან კაპიტალის სტრუქტურის სხვა შემადგენლობის, პირობების ან სტრუქტურის შეცვლით. დირექტივა განიხილავს ასევე პრევენციული რესტრუქტურიზაციის ჩარჩოებს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოფდეს მოვალეების ადრეულ ეტაპზე ეფექტურად რესტრუქტურიზაციას და გადახდისუუნარობის თავიდან აცილებას, რითაც ზღუდავს სიცოცხლისუნარიანობის მქონე საწარმოების არასაჭირო ლიკვიდაციას.

დირექტივის წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებაა იმ პროცედურებში, რაც ფინანსური სირთულეების მქონე მოვალეებს აქვთ თავიანთი ბიზნესის რესტრუქტურიზაციის მიზნით. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს აქვს პროცედურების შეზღუდული სპექტრი, რომელიც იძლევა ბიზნესის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას მხოლოდ შედარებით გვიან ეტაპზე, გადახდისუუნარობის პროცედურების კონტექსტში. სხვა წევრ სახელმწიფოებში რესტრუქტურიზაცია შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე, მაგრამ არსებული პროცედურები არ არის ისეთი ეფექტური, როგორიც შეიძლება იყოს, ან ძალიან ფორმალურია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი ზღუდავენ საქმისგარეშე ღონისძიებების გამოყენებას და შესაბამისად, ნაკლებად ეფექტურია და საერთოდ შეიძლება მოვალის გადარჩენისთვის ბრძოლაში პირიქით, არაეფექტურად და მიზნის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. მისი როლი კი პირიქით უნდა განიხილებოდეს სწორედ ამიტომ, ადგილობრივმა კანონმდებლობამ, ჩემი აზრით, მკაცრად უნდა გაითვალისწინოს დირექტივა და შეიტანოს ისეთი ცვლილებები, რაც ხელსაყრელს და მნიშვნელოვანს გახდის მის როლს ბიზნესის გადარჩენის პროცესში.

---

[70] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 153.

მოვალისთვის ფინანსური დახმარება ინვესტორების მიერ რესტრუქტურიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი უნდა გახდეს. შესაბამისად უნდა შემცირდეს მისი ხარჯები, რაც არა მხოლოდ მოვალის აქტივებზე იმოქმედებს დადებითად, არამედ კრედიტორების სრულად დაკმაყოფილების შანსს უფრო მეტად გაზრდის. ფინანსური სირთულეების პირობებში სიცოცხლისუნარიანი მოვალეების ეფექტური პრევენციული რესტრუქტურიზაციის ბარიერების მოხსნა ხელს უწყობს მიწოდების ჯაჭვში კრედიტორებისთვის სამუშაო ადგილების დაკარგვის და ღირებულების დაკარგვის შემცირება, ინარჩუნებს ნოუ-ჰაუს და უნარებს და შესაბამისად სარგებელს მოუტანს ფართო ეკონომიკას[71].

ევროპის ქვეყნების გამოცდილების გარდა ასევე მნიშვნელოვანია აზიური ქვეყნის, იაპონიის შეხედულება რეაბილიტაციასა და რესტრუქტურიზაციის როლთან დაკავშირებით. იაპონიის გადახდისუუნარობის სამართალი მოიცავს რეაბილიტაციის აქტს[72], რომელიც ხელს უწყობს კომპანიებს სწრაფად მოახდინონ რესტრუქტურიზაცია ეფექტური გეგმით. კორპორატიული რეორგანიზაციის აქტი გერმანული და ფრანგული გადახდისუუნარობის სამართლის გავლენით შეიქმნა და მისი მიზანია კომპანიების რეაბილიტაცია მისი გაკოტრების ნაცვლად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოვალის ჩართულობას ამ პროცესში მმართველობაში კომპანიის გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად მიიჩნევენ[73].

რეაბილიტაციისა და ბიზნესის რესტრუქტურიზაციის მნიშვნელობა რეაბილიტაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათი სამართლებრივი ბუნებისა და მიზნიდან გამომდინარე. ეს პროცესები უწყობენ ხელს დაეხმარონ ბიზნესს მართვაში, მაქსიმალურად დააკმაყოფილონ კრედიტორების მოთხოვნები და შემდგომ ეტაპზე ჰქონდეთ შესაძლებლობა საქმიანობა გააგრძელონ დაძლეული ფინანსური სირთულეებიდან გამომდინარე.

---

[71] DIRECTIVE (EU) 2019/1023 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, 2019

[72] Rehabilitation Act, RA, 2000

[73] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg. 20.

d) რეგულირებული შეთანხმება, როგორც მოვალის გადარჩენის მიზანი ქართულ და ინგლისურ სამართალში

რეგულირებული შეთანხმება სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე გადახდისუუნარობის სამართალში და ახალი ხედვაა მოვალის გადარჩენისა და კრედიტორების დაკმაყოფილების პროცესში. რეგულირებული შეთანხმება არ უკავშირდება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმებს. ის ცალკეული ელემენტია და სრულიად განსხვავებულ შესაძლებლობებს სთავაზობს გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალეს.

ფინანსური კრიზისის დროს ადრეული ჩარევის მექანიზმების ერთ-ერთი პირველი დახვეწილი საკანონმდებლო ვერსია შემოღებულ იქნა დიდ ბრიტანეთში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. სამეწარმეო კანონმდებლობაში მანამდეც არსებობდა პროცედურები, რომლებიც გამოიყენებოდა საწარმოს კრიზისის დროს მოვალის მიერ კრედიტორებთან შეთანხების მისაღწევად, თუმცა ეს პროცედურები შეუსაბამო იყო ისეთ სიტუაციაში, როცა საჭირო ხდებოდა გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანიის გადასარჩენად შეთანხების დაჩქარებულ ვადებში მიღწევა[74]. გადახდისუუნარობის სამართლის რეფორმის მიმდინარეობისას მასზე მომუშავე კომიტეტის მიზანი იყო, რომ უზრუნველეყო გადახდისუუნარობის პროცესის უპირატესი მიზნების მიღწევა, კერძოდ, ერთი მხრივ, კრედიტორების და, მეორე მხრივ, კრიზისში მყოფი მოვალის შესაბამისი ინტერესების დაბალანსება და ბიზნესის მთლიანობის, შეძლებისდაგვარად, მაღალი სტანდარტის შენარჩუნება[75]. აღნიშნული რეგულაციების შემუშავების შემდეგ ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე გადაიხედა და შეიცვალა რიგი რეგულაციები, რამაც ხელი შეუწყო პროცესის ეფექტიანად გარდაქმნას. ერთ-ერთი

---

[74] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 138, წყარო: Voluntary Arrangements, Edward Baily, LexisNexis Butterworths 2007. Pg. 1.

[75] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 138, წყარო: Sir Kenneth Russell Cork GBE (21 August 1913 – 13 October 1991) ბრიტანელი ბუღალტერი და გადახდსიუუნარობის ექსპერტი.

მკვლევარი, პროფესორი პიტერ ვალტონი აღნიშნავს, რომ ფინანსურ სირთულეში მყოფი კომპანიების საქმის წარმოებისას კანონი და პრაქტიკა უნდა ესწრაფვოდეს, ერთი მხრივ, კრედიტორების უფლებებს და, მეორე მხრივ, სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს შორის მიაღწიოს ბალანსი. ეს ყველაფერი კი იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას ღირებული ბიზნესების გადარჩენა სამართლიან და გამჭვირვალე გარემოებებში. „ყველა კომპანიას არ შეუძლია გადარჩენა, თუმცა როცა ეს შესაძლებლობა ჩნდება, პროცესი უნდა წარიმართოს იმდენად ეფექტიანად და დროულად, რამდენადაც ეს შესაძლებელია“[76].

„რეგულირებული შეთანხმება არის გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალესა და კრედიტორებს შორის ამ კანონით დადგენილი წესით მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რამდენსაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში სხვაგვარ დაკმაყოფილებაზე თანახმაა“[77]. რეგულირებულ შეთანხმებას აქვს პრინციპები, რომელიც უზრუნველყოფს მისი მიზნის მიღწევას და დასახული შედეგის დადგომას. ესენია: მოქნილობა, სამართლიანობა და გაკოტრების მინიმუმი პრაქტიკაში[78]. რეგულირებულ შეთანხმებას გააჩნია ის უპირატესობები, რაც მოვალეს დაეხმარება გადარჩენაში, კონკრეტულად, CVA აძლევს შესაძლებლობას პატარა და, ჯერ კიდევ, სიცოცხლისუნარიან კომპანიას, რომელსაც აქვს კარგი ბიზნესმოდელი და შეკვეთების სია, მაგრამ განიცდის „დროებით“ ფინანსურ სიძნელეებს და ასევე იმყოფება კრედიტორების ზეწოლის ქვეშ, გამოიყენოს 28 დღიანი მორატორიუმი, რომელიც წარმოეადგენს ერთგვარ ამოსუნთქვის საშუალებას, ბიზნესის

---

[76] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 144, წყარო:“CVAs reforms needed, says insolvency and restructuring profession”, R3 press notice, 29 May 2018 [online] (accessed 31 May 2018).

[77] „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020.

[78] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 151

გადასარჩენად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნებაყოფლობითი მორატორიუმი არ არის ხელმისაწვდომი დიდი კომპანიებისათვის. იგი აძლევს დროს კომანიებს მოახდინონ რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაცია. პროცესში ძირითადი ბიზნესი განაგრძობს არსებობას და მოაქვს შემოსავალი; იგი არ ითვალისწინებს სასამართლოს ჩართულობას, ამიტომ ზოგადად, უფრო იაფი პროცედურაა, ვიდრე სხვა ფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურები[79].

რეგულირებული შეთანხმება სწორედ ის მექანიზმია, რაც აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს საწარმოს გადასარჩენად და ბიზნესის შესანარჩულებლად. იგი სიახლეა ქართული კანონმდებლობისთვის და შესაბამისი სტატისტიკა ან შედეგებზე საუბარიც ნაადრევია. სამაგიეროდ აქტიურად გამოიყენება გაერთიანებულ სამეფოში. ქართულ რეალობაში ძირითადად არსებობენ მცირე სახის საწარმოები და არა დიდი ბიზნესები. მცირე საწარმოებს ძირითადად გაკოტრება ელოდათ წინ. რეგულირებული შეთანხმება კი ის ახალი მექანიზმია, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს განაგრძონ საქმიანობა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად მორატორუმის გზით, როდესაც მიეცემათ „ამოსუნთქვის“ საშუალება, მობილიზება გაუკეთონ აქტივებს და შეუდგნენ მის გაზრდასა და ვალდებულებების შესრულებას.

2) მოვალის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ბიზნესის გადარჩენის მნიშვნელობისთვის

მოვალის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი გადარჩენისთვის. მოვალეს მისი ბიზნესის გადარჩენა ყველაზე მეტად სურს, მაგრამ ამან არ შეიძლება დააზიანოს და გადაწონოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მოვალის უფლებები სხვადასხვა ქვეყნების გადახდისუუნარობის კანონებში ერთ კონკრეტულ თავში არ არის

[79] მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, გვ. 151

თავმოყრილი, არამედ საქმის წარმოების თითოეული პროცესი მის შესაბამის უფლებასაც მოიცავს და არეგულირებს.

მნიშვნელოვანია, რომ მოვალეს გააჩნდეს ის ძირითადი უფლებები, რაც უზრუნველყოფს მისი სამართლიან და მიუკერძოებელ მოპყრობას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს მის ნდობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისადმი[80].

მოვალის ძირითადი უფლებებია: მოუსმინონ, ჰქონდეს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და შეინარჩუნოს პირადი ქონება. სასურველია მოვალეს გააჩნდეს უფლება მოუსმინონ გადახდისუუნარობის პროცესში და მიიღოს მონაწილეობა ზოგადად გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით რეორგანიზაციის პროცედურების დროს. მოვალეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ინფრმაცია ყველა საქმეზე, მაგრამ განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როდესაც გადახდისუუნარობის შესახებ კანონი ითვალისწინებს მოვალის „გადაადგილებას“ გარკვეულ დონეს არა ლიკვიდაციაში ან რეორგანიზაციაში, არამედ როდესაც საქმე ეხება ბიზნესის მართვასა და კონტროლზე შეზღუდვების დაწესებას ან მათგან ჩამოშრებას, ან თუნდაც სხვა გარკვეული პირობების შეცვლას. ინფორმაციასთან წვდომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეორგანიზაციის პროცესში, სადაც იცვლება გეგმა ან მოითხოვს მის ჩართულობას არსებული გეგმის იმპლემენტაციისთვის. ასევე, მოვალეს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ისეთ საქმეებთან, სადაც მისი როლი გადაწყვეტილების მიღებისას არ არის გადამწყვეტი და შეუძლია უბრალოდ აზრი გამოხატოს[81]. ამ პროცესებში მოვალის ჩართულობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია შეიცვალოს მისი ბიზნესის განგრძობადობის ბედი.

მოვალის უფლებების განხორციელებამ ამავდროულად არ უნდა შეუშალოს ხელი პროცესის ეფექტიანად წარმართვას. შესაძლებელია იყოს სიტუაციები, როდესაც ამ ფორმალობებმა გაზარდოს ხარჯები და გამოიწვიოს პროცესების შეფერხება, რაც

[80] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf
[81] იხ. იქვე

უფრო მეტ ზიანს მოუტანს მოვალეს კრედიტორების ზიანთან ერთად. ასეთ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ მაგალითად, როდესაც მოვალე აღარაა უფლებამოსილი წარმოადგინოს საწარმო სასამართლოში იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რაც იმ პერიოდში მიმდინარეობს. მისი ამ პროცესში ჩართულობა გამოიწვევს შესაბამისი წარმომადგენლის მიერ აუცილებლად განსახორციელებელი ქმედებების შეფერხებას, ან დასადები ხელშეკრულების ჩაშლას და ა.შ. შესაბამისად, სასურველია უზრუნველყოფილი იყოს მოვალის მოსმენის და მისი მონაწილეობის დაშვება ყველა შესაძლო შემთხვევაში და შექმნას მოქნილი სისტემა ამ უფლებების განხორციელებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ ამან არ უნდა იმოქმედოს უარყოფითად მიმდინარე პროცესებზე[82].

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაერთიანებული ერების კომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებში გადახდისუუნარობის სამართალში მოვალის უფლებებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია შემდეგი დებულებები: გადახდისუუნარობის კანონი უნდა მიუთითებდეს, რომ მოვალეს აქვს უფლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მონაწილეობის მიღება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება იმ საქმისწარმოება გადახდისუუნარობის წარმომადგენლისა და სასამართლოსგან. იმ ქვეყნებში, სადაც გადახდისუუნარობის კანონი შეეხება კერძო პირებსაც (უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონი არ შეეხება ინდივიდუალურ მეწარმეებს) გადახდისუუნარობის კანონში უნდა იყოს მიუთითებული, რომ მოვალეს უფლება აქვს შეინარჩუნოს ის აქტივები, რომლებიც გამომდინარეობს სამკვიდროდან კანონით.

ზემოთ აღნიშნული უფლებების განხორციელება მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის პროცედურების სწორ, მიზანმიმართულ და ამავდროულად პროცესის ყველა მხარისთვის ეფექტიანად წარმართვისთვის, სადაც უნდა მოიაზრებოდეს მოვალისთვის მინიჭებული უფლებებით მისი მონაწილეობა და როლი ბიზნესის გადარჩენის პროცესში.

[82] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

3) კრედიტორების მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილების მიზანი

გადახდისუუნარობის სამართალში კრედიტორების ინტერესს წარმოადგენს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. გადახდისუუნარობის სამართალი ისტორიულად სწორედ რომ მათი ინტერესების დასაცავად ჩამოყალიბდა და არ შეიძლება ემსახურებოდეს უპირატესად მოვალის გადარჩენას. ამის მიუხედავად, მაინც არ არის თანამედროვე გადახდისუუნარობის სამართალში მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი გადახდისუუნარობის სამართალი მეტწილად პროკრედტიული უნდა იყოს თუ პრომსესხებლური. ამის მიუხედავად, სამართლებრივი სისტემები თუნდაც მოვალის რეაბილიტაციას კრედიტორების უფლებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების გარეშე არ განიხილავენ. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გადახდისუუნარობის სამართალს არ ახასიათებენ მკვეთრად პროკრედიტორულს, ყველა პროცესი მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან განცალკევებით არ განიხილება, პირიქით, მაქსიმალურად ცდილობს კანონდმებლობა თითოეულ მათგანში მკაცრად განსაზღვრონ მინიმუმად გაკოტრების რეჟიმის დროს მისაღები თანხები და ამით შეამცირონ რისკი, რომ მოვალის გადარჩენის პროცესში კრედიტორის ინტერესებუ უგულვებელყოფილი არ იყოს.

A) კრედიტორის მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილების მექანიზმები

კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე გავრცელებული საშუალება გაკოტრების რეჟიმის გახსნაა, რა თქმა უნდა, თუ მოვალე გადახდისუუნარო. ამ მექანიზმის გამოყენების საშუალება კრედიტორს იდივიდუალურად მოთხოვნის

დაკმაყოფილებისთვის არ ეძლევა. გაკოტრებისგან განსხვავებით, სადაც მთლიანად მოვალის ქონების რეალიზაციისკენ არის მიმართული პროცესი, მისი რეაბილიტაციაც ცალსახად კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებად უნდა იქნეს განხილული. კრედიტორების ინტერესისთვის, რომ მისი მოთხოვნა მაქსიმალურად შესრულდეს, გამოიყენება შეცილების მექანიზმი.

ამ პროცესებში მნიშვნელოვანია მათ უფლებების რეალიზების საშუალება მისცეს კანონმდებლობამ, რათა მოთხოვნების დაკმაყოფილების ეს მექანიზმები არ დარჩეს მხოლოდ ჩანაწერად და რეალურად მიეცეთ შესაძლებლობა მოვალის გადარჩენაზე უპირატესად შეძლონ მიიღონ მაქსიმალური. შემდგომ თავებში არ იქნება განხილული უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები ან მოთხოვნის შესაძლებლობები, არამედ, ეს ნაწილი ემსახურება მათი ინტერესების დაცვას და რეალიზების საშუალებებს მოვალის გადარჩენასთან მიმართებით.

a) მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილების შესაძლებლობა გაკოტრების რეჟიმის გახსით

გაკოტრების რეჟიმის გახსნა პირდაპირ კავშირშია კრედიტორის მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილებასთან მოვალის გადარჩენის გარეშე. ეს იმ უკიდურეს ზომად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთვევაში, როდესაც მოვალის რეაბილიტაცია ვერ ხერხდება და მცდელობას შედეგი არ მოჰყვება. მოვალის გაკოტრების პროცედურები კი მთლიანად მიმართული უნდა იყოს კრდიტორთა მაქსიმალურად ეფექტიანად დაკმაყოფილებისაკენ[83].

გაკოტრების პროცესი, როგორც ჩანს, მსგავსია ბევრი ქვეყნისთვის, რასაც შედეგად მოჰყვება ბიზნესის დახურვა, მისი ქონების გაყიდვა, კრედიტორთა მოთხოვნების

[83] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გვ15.

განხილვა, კრედიტორებისთვის არსებული სახსრების გადანაწილება, მოვალის ე.წ. დაშლა, სადაც არის კორპორაცია ან სხვა იურიდიული პირის ფორმა[84].

ლიკვიდაციის არა ერთი სამართლებრივი და ეკონომიკური დასაბუთება არსებობს. ფართოდ რომ ვთქვათ, შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბიზნესი, რომელსაც არ შეუძლია საბაზრო ეკონომიკაში კონკურენცია, უნდა მოიხსნას ბაზრიდან. არაკონკურენტული ბიზნესის ძირითადი იდენტიფიკატორი არის ის, რასაც აკმაყოფილებს გადახდისუუნარობის ერთ-ერთი ტესტი, ანუ როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვადამოსული ვალები, ან მისი ვალდებულებები აღემატება მის აქტივებს. უფრო კონკრეტულად, ლიკვიდაციის პროცესის საჭიროება შეიძლება ჩაითვალოს როგორც კრედიტორთაშორისი პრობლემების მოგვარება[85].

გერმანული გადახდისუუნარობის სამართლის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად სახელდება ეფექტური ლიკვიდაციის პროცედურა, რომლის დროსაც კრედიტორების მაქსიმალური კმაყოფილება არის ერთადერთი მიზანი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, გააგრძელოს ვალდებულება თუ დაიხუროს ის, განიხილება კრედიტორების მიერ[86].

საქართველოს კანონის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციისათვის კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ფორმით, მოქმედი ბიზნესის სახით, გადახდისუუნარობის მასის ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ. ფორმის შერჩევისას გაკოტრების მმართველმა ქონების იმ გზით რეალიზაცია უნდა მოახდინოს, რომლიდანაც უფრო მეტი თანხის ამოღებაა მოსალოდნელი. გაკოტრების მმართველს აქვს

[84] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

[85] იხ. იქვე

[86] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.2.

რეალიზაციისათვის ნებისმიერი დასაშვები ფორმის გამოყენების შესაძლებლობა, რაც განაპირობებს ქონებიდან მაქსიმალური თანხის ამოღებას და კრედიტორთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას[87], რაც ასევე თავის მხრივ ითვალისწინებს იმასაც, რომ ამ გზით მოვალეს ქონება შეიძლება საერთოდ აღარ დარჩეს, მაგრამ უპირატესი მიზანი, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ამ შედეგის მიუხედავად, მიღწეული უნდა იქნეს.

b) მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოვალის რეაბილიტაციის პირობებში

კრედიტორთა უმრავლესობისათვის რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე მოვალის გაკოტრებისას დადგებოდა. ამ დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ თუნდაც მაშინ, როდესაც კანონი რეაბილიტაციის გზით მოვალის გადარჩენას ცდილობს, კრედიტორების ინტერესები გვერდით არ უნდა გადაიდოს, პირიქით, მათ მინიმუმ ის მაინც უნდა მიიღონ, რასაც მოვალის გაკოტრების გზით მიიღებდნენ. ამ შემთხვევაში რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს მოვალის გადარჩენას, ასევე მისი არსებითად მთლიანი ბიზნესის ან ქონების გასხვისებას, საქმიანობის გაგრძელებას კრედიტორების გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით და სხვა. მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ რეაბილიტაციის დროს ერთიანი კომპლექსის სახით ბიზნესის გაყიდვა გაკოტრებაში განხორციელებული იმავე ტიპის რეალიზაციისაგან. რეაბილიტაციაში ამგვარი გაყიდვა იმ პირობით დაიშვება, რომ ის უკეთესი შედეგების მომტანი უნდა იყოს კრედიტორთა ერთობლიობისთვის, ვიდრე გაკოტრებისას მისაღები მინიმუმია. ეს მინიმუმი გამოიანგარიშება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდით[88]. "ამგვარი რეაბილიტაცია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილების ან მათი ინტერესების პრიორიტეტული

[87] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", გვ15.
[88] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", გვ15.

დაცვისაკენ უნდა იყოს მიმართული. შესაბამისად, მართვაში დარჩენილი მოვალე ან რეაბილიტაციის მმართველი რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების მომენტიდან წარმოადგენს მოვალეს იმ სპეციფიკით, რომ ფიდუციური მოვალეობები მას ამჯერად უკვე მოვალის კრედიტორთა ერთობლიობის მიმართ გააჩნია, ნაცვლად მოვალის პარტნიორებისა"[89].

c) შეცილება

შეცილების უფლება გადახდისუუნარობის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაწესია, რომელიც ხაზს უსვამს კრედიტორების ინტერესების უპირატესად დაკმაყოფილების შესაძლებლობას და მას მეტად სარწმუნოს ხდის. იგი საშუალებაა არ მიეცეს მოვალეს შესაძლებლობა იმოქმედოს კრედიტორების ნოთხოვნების მაქსიმალურად ეფექტიანად დაკმაყოფილების საწინააღმდეგოდ და მისმა ქმედებებმა არ გამოიწვიოს ცალკეული კრედიტორებისთვის სარგებლის მინიჭება და მასთან ერთად ბიზნესის ქონების შემცირება.

შეცილების მიზანს წარმოადგენს იმ ქონებრივი ცვლილებების აღმოფხვრა, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის დაწყებამდე პერიოდში განხორციელდა და ამით მოვალის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა იმ სტატუსით, რომელშიც ის იყო ფაქტობრივი გადახდისუუნარობის წარმოშობის მომენტში. შეცილებადი ქმედებების ცნება ფართოა და მოიცავს როგორც გარიგებებს, ასევე სხვა ქმედებებს, მათ შორის, ნივთის გადაცემას ან სხვაგვარ შესრულებას, რაც გარიგების დადებას შეიძლება არ უკავშირდებოდეს[90].

გადახდისუუნარობის კანონის საყოველთაოდ მიღებული პრინციპია, რომ კოლექტიური მოქმედება უფრო ეფექტურია კრედიტორებისთვის ხელმისაწვდომი აქტივების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ვიდრე სისტემა, რომელიც

---

[89] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", გვ13.

[90] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ", გვ13.

კრედიტორებს უტოვებს უფლებას განახორციელონ თავიანთი ინდივიდუალური მოქმედებები მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად[91]. გარიგებები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს მერყევად ბათილია იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოვალის მიერ თაღლითური ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაბამისი შედეგები[92] იმისთვის, რომ დაცული იყოს კრედიტორთა უფლებები ვადამოსული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.

საქართველოს გადახდისუუნარობის კანონის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საცილო ქმედებების რეგულირებამ, რომელიც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს მოქმედ კანონში „კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებების" სახელწოდებით არის ცნობილი. შეცილების სამართლებრივი ინსტიტუტის დამკვიდრებით ამ საკითხის მოწესრიგება შესაბამისობაში მოვიდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, ამასთან, სამართლებრივი დოქტრინის თვალსაზრისითაც და ტერმინოლოგიურადაც უფრო მეტად შეესაბამება შეცილების სამართლებრივ შედეგებს. ცვლილებები უპირველესად შეეხო შეცილებაზე უფლებამოსილ პირებს. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, შეცილების განხორციელება შეეძლო როგორც მმართველს, ასევე კრედიტორს. მოქმედი კანონი კი შეცილების განხორციელების უფლებას ანიჭებს მმართველებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოვალე რჩება მართვაში - ზედამხედველს. ვინაიდან წარმატებული შეცილების შედეგები გადახდისუუნარობის მასაზე უნდა აისახოს და ამით კრედიტორთა ერთობლიობამ უნდა ისარგებლოს, გაუმართლებელია ამის უფლება ინდივიდუალურ კრედიტორებს ისევ მისცემოდათ. ამდენად, გამოირიცხა კონკრეტული კრედიტორების მიერ შეცილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. იგივე მიზნისთვის, გერმანულ გადახდისუუნარობის სამართალში შეცილებაზე უფლებამოსილი პირია ადმინისტრატორი[93]. აცილების უფლება

[91] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf
[92] იხ. იქვე
[93] German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693).

უზრუნველყოფს ნორმის პრინციპის დაცვას condicio creditorum (კრედიტორებისთვის თანაბარი მოპყრობა) გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში. ის ასევე საშუალებას აძლევს გადახდისუუნარობის ადმინისტრატორს გააუქმოს აქტივების ისეთი გადაცემა, რომლებიც განხორციელდა გადახდისუუნარობის საწმის წარმოების დაწყების წინა პერიოდში, თუ ისინი ზიანს აყენებენ კრედიტორებს[94]. შეცილების განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ მთლიან, არამედ გარიგების ნაწილზეც, თუ შესაძლებელია მისი განცალკევება მთლიანი ხელშეკრულებიდან[95], ამრიგად, ამ ქმედების განხორციელებით სხვა კრედიტორებს შესაძლოა ნაკლები ზიანი მიადგეთ და ამავდროულად შესაძლებელი გახდეს გადახდისუუნარობის მასის გაზრდაც ან მინიმუმ იმ შედეგის მიღწევა, რომ აღნიშნული არ შემცირდეს. აქვე მნიშვნელოვანი არ არის, რომ მოვალე მონაწილეობდეს გარიგებაში. შეცილებული შეიძლება იყოს მესამე პირების მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედება (რაც გულისხმობს ნებისმიერი სახით გამოწვეულ სამართლებრივ ეფექტს მიმდინარე პროცესის მიზნებისთვის) რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კრედიტორებს (მაგალითისთვის მნიშვნელოვანი შემთხვევაა: კრედიტორების მიერ იძულებითი აღსრულების დროს განხორციელებული მოქმედებები)[96].

მნიშვნელოვანია, რომ ამით მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგეს ყველა იმ პირს, ვისთანაც მოვალემ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე დადო ხელშეკრულება, რადგან ეს პროცესი წარმოშობს ახალ დავებს და სხვა მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ, უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევა რამდენადაა მიმართული გადახდისუუნარობის მასის განზრახ შემცირების ან გაუფასურებისკენ. ეს ყველაფერი კი უნდა ემსახურებოდეს კრედიტორებისთვის შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის პირობების შექმნას. შეცილება მხოლოდ გაკოტრების რეჟიმის დროს არ წარმოიშვება, არამედ

---

[94] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.407.

[95] იხ. იქვე

[96] Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA, pg.408.

რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის დროსაც, როდესაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია მოვალის ქონების შენარჩუნება, რადგან ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს ორი ინტერესის დაცვისთვის ბრძოლა-მოვალის გადარჩენის და ამავდროულად კრედიტორისთვის იმ ოდენობით მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, რომ იგი დათანხმდეს რეაბილიტაციის რეჟიმის გახანგრძლივებულ ვადებს, და შესაბამისად, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურებას.

d) კრედიტორების უფლებების რეალიზების საშუალებები მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილების ასპექტში

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის მათი უფლებების რეალიზების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ასპექტია გადახდისუუნარობის კანონმდებლობაში. მართალია, კრედიტორთა უფლებები ზოგადად მოცულობითია, მაგრამ მისი მოკლე მიმოხილვა ამ ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

კრედიტორების უფლებები განსხვავდება მათი სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით. თანამედროვე გადახდისუუნარობის სამართალი მიისწრაფვის იმისკენ, რომ თანაბარ საფეხურზე მდგომ კრედიტორებს თანაბარი უფლებები ჰქონდეთ, მაგრამ ასევე არ დაიჩაგრონ უფრო მეტად დაბალ საფეხურზე მდგომი კრედიტორები. მივესალმები ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებას და კრედიტორების მოთხოვნების კოლექტიურად დაკმაყოფილების ცნების ჩამოყალიბებას. ეს ცვლილება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია და ჩემი აზრით, ხელს საგრძნობლად შეუწყობს მათი მოთხოვნების ეფექტიანად დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

კრედიტორებს უნდა ეძლეოდეთ პროცესში მაქსიმალურად ჩართვის შესაძლებლობა, ამისთვის კი საქართველოს მაგალითი რომ განვიხილოთ, გაკოტრების მმართველი აქვეყნებს რეალიზაციის ფორმის შერჩევის თაობაზე

ინფორმაციას და კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს მას ქონების რეალიზაციის ალტერნატიული შეთავაზებით, რომელიც კრედიტორთა ერთობლიობისთვის უფრო მომგებიანი იქნება[97].

კანონი[98] ითვალისწინებს უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებების რეალიზების ისეთ მნიშვნელოვან შესაძლებლობა, როგორიცაა უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის უფლება-ე.წ. right to separate satisfaction. ამ უფლებით უზრუნველყოფილი კრედიტორს შესაძლებლობა აქვს მიმართოს სასამართლოს მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების მიმართ მორატორიუმის მოხსნის შუამდგომლობით, თუ მას ზიანი ადგება მორატორიუმის ღონისძიების გამოყენებით, მაგალითად, მცირდება ქონების ღირებულება და ამ ზიანის თავიდან აცილების ინტერესი კრედიტორთა თანაბარზომიერი დაკმაყოფილების კანონისმიერ მიზანზე მნიშვნელოვანია. თუ რეაბილიტაციის მმართველი არ ეთანხმება აღნიშნულ მოთხოვნას, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ქონება, რომელზეც კრედიტორი ითხოვს მორატორიუმის ცალკეული ღონისძიების გაუქმებას, საჭიროა რეაბილიტაციის მიზნებისთვის[99].

როდესაც გადახდისუუნარო მოვალის აქტივები არასაკმარისია ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებისათვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ანაზღაურების ზომების მიღებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მნიშვნელოვანია სხვა კრედიტორების მიერ მსგავსი ქმედების განხორციელებამდე. იმისთვის, რომ მხოლოდ ცალკეული კრედიტორების მოთხოვნები არ იყოს უპირატესი, კოლექტიური საქმის განხილვა მიზნად ისახავს თანაბარ საფეხურზე მდგომი კრედიტორების თანაბარ მოპყრობას და მოვალის აქტივები უნდა გაიზარდოს ყველა კრედიტორის სასარგებლოდ. ეს ჩვეულებრივ მიიღწევა კრედიტორების უნარით შეასრულონ თავიანთი ინდივიდუალური

---

[97] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გვ15.

[98] „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020.

[99] იხ. იქვე

უფლებები მოვალის წინააღმდეგ და დამოუკიდებელი პირის დანიშვნით, რომლის უპირველესი მოვალეობაა მოვალის აქტივების ღირებულების მაქსიმალურად გაზრდა კრედიტორებში განაწილებისთვის[100].

ყველა ის შესაძლებლობა, რაც კრედიტორებს ეძლევათ კანონით, მიმართულია მათი ინტერესების დაკმაყოფილების უპირატესობის გამოკვეთისკენ. მათ გარეშე არ მიიღება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა მაგალითად რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება. კრედიტორებს უფლება აქვთ, საკუთარი ხარჯით განახორციელონ მისი ალტერნატიული შეფასება. კრედიტორებს უფლება აქვთ, დასვან გაკოტრების მმართველის შეცვლის საკითხი და ამ მიზნით მოიწვიონ კრედიტორთა კრება და სხვა.

[100] UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

IV) მოვალეთა და კრედიტორთა თანაბარუფლებიანი დაცვის შესაძლებლობა

მოვალისა და კრედიტორის თანაბარუფლებიანი დაცვა გულისხმობს მათი მიზნების ორივე მხარისთვის სასურველ და ეფექტიან განხორციელებას. თანაბარუფლებიანი დაცვის შესაძლებლობა გადახდისუუნარობის სამართალში რთულად მისაღწევია და იდეალურ შემთხვევად შეიძლება შეფასდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ თითქმის შეუძლებელია. ამისთვის მოვალეს უნდა ჰქონდეს სურვილი ყველა კრედიტორის მოთხოვნა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს, ხოლო კრედიტორი ცდილობდეს მოვალის გადარჩენას, რაც რეალობაში არ ხდება. ყოველი მხარე მუდამ იბრძვის თავისი უფლებებისა და მოთხოვნების დასაცავად.

საქართველოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობამ 2007 წლის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ განონით სწორედ ეს მიზანი დაისახა, მაგრამ მიზნის მისაღწევად ვერ ჩამოაყალიბა შესაბამისი რეგულაციები, რადგან ეს მიზანი თავიდანვე ისედაც შეუძლებლად უნდა მიჩნეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ახალი კანონით არ არის მოცემული, მარეგულირებელი ნორმებით უფრო მეტად შეესაბამება 2007 წლის კანონის მიზანს ვიდრე თავად მისი დებულებები.

გადახდისუუნარობის კანონმდებლობის განვითარების ისტორიამ და გამოცდილებამ გამოკვეთა თანამედროვე სამართლის სისტემების განვითარების გზა, სადაც თანაბარუფლებიანობა ნახსენები არ არის. არამედ, მიღებული პრინციპები შესაძლებლობას იძლევიან მხოლოდ მიუახლოვდნენ მას. ჩემი აზრით, გადახდისუუნარობის კანონმდებლობის განვითარებას სწორი მიმართულება აქვს არჩეული-მაქსიმალურად ეცადოს მოვალის რეაბილიტაციას და არ დაივიწყოს ამ პროცესში კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება მინიმუმ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც დაკმაყოფილდებოდა გაკოტრების გზით, წინააღდმეგ შემთხვევაში კი საკითხი კრედიტორის სასარგებლოდ წყდება. კრედიტორები შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, ბანკები, სხვა საწარმოებიც და არა მხოლოდ

ფიზიკური პირები, რომელთა აქტივები და შემოსავლები მოვალის გადარჩენაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, სხვა კრედიტორი საწარმოების შემთვევაში, რადგან თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და მოვალის გადარჩენისკენ იქნება მიმართული მხოლოდ წარმოება, ეს ახალ გადახდისუუნარო მოვალეებს წარმოშობს და უფრო მეტად ზიანის მომტანი იქნება. სწორედ ამიტომ არ უნდა განხორციელდეს ორივე მხარის უფლებების თანბრად დაცვა.

V) დასკვნა

ნაშრომში განხილული ყველა საკითხი თავის მხრივ სცემს პასუხს განსახილველად დასმულ კითხვას. გადახდისუუნარობის სამართლის ისტორიული მიმოხილვიდან ირკვევა, რომ ყველა პერიოდს თავისი მახასიათებელი გააჩნია, მაგრამ რაც მთავარია, მკაცრ და ხისტ მიდგომებს დროდადრო შერბილებული პოლიტიკა ანაცვლებს, რაც თავის მხრივ იცვლება იმ მიზნის მიხედვით, რასაც იმ დროინდელი პოლიტიკა და სამეწარმეო საქმიანობა განაპირობებს. თუ კი საწყის ეტაპზე მკაცდრად იყო განსაზღვრული, რომ კრედიტორის მოთხოვნა, ყველა შესაძლო გზით თუნდაც ადრეულ ხანაში მოვალის ოჯახის მონად ქცევით, უნდა დაკმაყოფილებულიყო, თანამედროვე სამყაროში მოვალის გადარჩენაზე ზრუნვაც ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა.

სამეწარმეო ურთიერთობების განვითარებამ მნიშვნელოვნად გამოყო წარმოების როლი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისთვის. ნაშრომში სწორედ ამ მხრივაა მიმოხილული საკითხი და გამოკვეთს მნიშვნელოვან ასპექტებს, თუ რატომ უნდა გაეცეს პასუხი ნაშრომში დასმულ კითხვას - კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება უფრო მეტადაა მომგებიანი ამ დროს თუ მოვალის გადარჩენა. მართალია აღნიშნული საკითხი ბიზნესის გადარჩენის კუთხით უფრო მეტადაა განხილული, მაგრამ ხაზს უსვამს ასევე იმ ფაქტს, რომ საწარმოები, რომლებიც უფრო მეტად არიან ზიანის მომტანი ყველა სხვა მონაწილე მხარისთვის, მათი გადარჩენის ინტერესი უკან გადადის და წინ იწევს კრედიტორის დაკმაყოფილების ინტერესები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური სტაბილურობისთვის.

გადახდისუუნარობის სამართლის ის ძირითადი ასპექტები, რაც დასმულ კითხვას სცემს პასუხს, განხილულია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნის მაგალითზე, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საქართველოს და იაპონიის მაგალითებზე. თითოეულ მათგანს სამართლის აღნიშნული სფეროს ჩამოყალიბების განსხვავებული

ისტორია აქვს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ისტორია დამოკიდებულია მათ შეხედულებაზე მიანიჭონ უპირატესობა კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თუ უპირატესად მიიჩნიონ მოვალის გადარჩენა. დიდი ბრიტანეთი გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული მიდგომით მოვალის მიმართ. ამ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ისეთი სისტემა, რომელიც სრულიად მორგებულია ბიზნესზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საკრედიტო დაწესებულებებისთვის იმ წესის ჩამოყალიბებით, რომლის მიხედვითაც, მათ ეკისრებათ როლი ხარჯების შემცირებით და გარკვეული დახმარებების გზით ხელი შეუწყონ გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მდგარ მოვალეს. რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია, შეიქმნა რეგულირებული შეთანხმება, რამაც აღიარება პოვა ევროპული დირექტივით და წევრი სახელმწიფოები, მაგალითისთვის საქართველო, აქტიურად ნერგავენ ამ მიდგომას. ხარჯების შემცირებითა და მინიჭებული თავისუფლებით მოვალის გადარჩენის მიზანი სრულდება, მაგრამ აქვე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ კრედიტორები უგულვებელყოფილნი. მათი მონაწილეობა პროცესში გადამწყვეტია. არ ექნება საწარმოს რეაბილიტაციის საშუალება, ან არ დაიდება რეგულირებული შეთანხმება, თუ კრედიტორის მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად. სწორედ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება ის უფლებები, რაც კანონმა მიანიჭა.

გერმანიამ, როდესაც გააანალიზა ის ფაქტი, რომ მისი გადახდისუუნარობის კანონმდებლობა ვეღარ ემსახურებოდა იმ მიზანს, რისთვისაც ჩამოყალიბდა და ამ მიზნად განიხილავს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ძირეული ცვლილებები გაატარა კანონმდებლობაში.

საქართველოში მიდგომა მრავალჯერ ჩამოყალიბდა და შეიცვალა. გადახდისუუნარობის სამართალი თავიდან მხოლოდ მოვალის გაკოტრების გზით კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა. შემდეგ შესული ცვლილებით მნიშვნელოვანი გახდა მოვალის გადარჩენაც, მაგრამ აქაც სწორად ვერ ჩამოაყალიბა მიდგომა და მოვალისა და კრედიტორების დაცვა

თანაბარმნიშვნელოვნად განიხილა, რამაც კანონის ბუნდოვანება და არაეფექტურობა გამოიწვია.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული მოვალის გადარჩენის მიზანი და კრედიტორის მოთხოვნების მოვალის გადარჩენასთან შედარებით უპირატესად დაკმაყოფილების მიზანი, თითოეულ ნაწილში განხილული საკითხით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თუნდაც ხელშეკრულების შენარჩუნება და მისი შესრულება მოვალისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყოს, ამის მიზანია საბოლოოდ კრედიტორის უფრო მეტად ეფექტიანად დაკმაყოფილება. რეაბილიტაციის მიზანია ისევ და ისევ კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება, მართალია დროში გაწელილი პრიცესით და მოვალის გადარჩენის მიზნით, მაგრამ თუ კრედიტორები ვერ მიიღებენ ვადამოსული მოთხოვნების შესაბამის ანაზღაურებას, რეაბილიტაცია ჩაიშლება და გაიხსნება გაკოტრების რეჟიმი. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა ის მექანიზმი, რაც მოვალის გადარჩენისკენაა მიმართული, ემსახურება კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და შესაბამისად, გამოკვეთს, რომ გადახდისუუნარობის სამართლის მიზანი სწორედ ესაა. გამოთქმული მოსაზრების მიუხედავად, რომ არ შეიძლება კანონი არსებობდეს უფრო პროკრედიტორული ვიდრე პრომსესხებლური ან პირიქით, არ არის სწორი მსჯელობა, რადგან რომელიმე მხარისთვის მინიჭებული უპირატესობის გარეშე ვერ მიიღწევა ის შედეგები, რაც სისტემას სჭირდება.

იქიდან გამომდინარე, რომ გამოიკვეთა ნაშრომში დასმულ კითხვაზე პასუხი, რომლის მიხედვითაც, კრედიტორების მოთხოვნების უპირატესად დაკმაყოფილება მეტად მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილებაა, სახელმწიფოებმა ეს მიზანი კანონმდებლობაში, ჩემი აზრით, უფრო მკაცრად უნდა ასახონ მოვალის პასუხისმგებლობის გაზრდით, თუ კი იგი არ უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის საქმის გახსნას შესაბამის დროს. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაერთიანებული ერების კომისია არ აყალიბებს იმ პასუხისმგებლობის ფარგლებს, რაც ამ დროს მოვალეს შეიძლება დაეკისროს და ადგილობრივ დონეზე დასარეგულირებელ საკითხად მიიჩნევს. მართალია

სავალდებულო არ არის მისი დანაწესები, მაგრამ საერთაშორისო დონეზე გარკვეული ჩარჩოს შექმნა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მეტად უზრუნველყოფს ამ საკითხისადმი თუნდაც მოვალის მიერ გულისხმიერებით მოკიდებას. ასევე მნიშვნელოვანია პროცესი დაიხვეწოს ტექნოლოგიურად და უფრო მეტად მოქნილი გახდეს კრედიტორებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად და შესაძლებლობების მარტივად დასანახვებლად. ეს ცვლილებები კი კანონის პროკრედიტორულობის მისაღწევად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა:

- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ავტორი: მესხიშვილი ქეთევან, ბათლიძე გიორგი, ამისულაშვილი ნანა, ჯორბენაძე სერგი. რედაქტორი ირინა კვაჭანტირაძე, GIZ, 2021.
- განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.
- განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.
- ნატოს ეფექტი ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე და მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის, ანალიტიკური ანგარიში N2, 2016.
- ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება საბოლოო ანგარიში, თებერვალი, 2019.
- "Bankruptcy" . In Chisholm, Hugh (ed.). Encyclopædia Britannica. 3 (11th ed.). Cambridge University Press. Carmen M. Reinhart, Kenneth S. Rogoff (2009). "This time is different: eight centuries of financial folly". Princeton University Press. p.30. ISBN 0-691-14216-5.
- „Bancruptcy“ BY Stefan Albrecht Riesenfeld Manson, Edward William Donoghue (edited from 1911)
- Braun, German Insolvency Code Insolvenzordnung (InsO) Article-by-Article Commentary Second Edition 2019 German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693) Editor: Dr Eberhard Braun Attorney at law – CPA.

- CVAs reforms needed, says insolvency and restructuring profession", R3 press notice, 29 May 2018 [online] (accessed 31 May 2018).
- "General Objectives and features of Insolvency procedures" Author: International Monetary Fund, 1999.
- Sir Kenneth Russell Cork GBE (21 August 1913 – 13 October 1991).
- Stefan Albrecht Riesenfeld, article on Rehabilitation and reorganization of insolvent estates (edited from 1911)
- Voluntary Arrangements, Edward Baily, LexisNexis Butterworths 2007.
- UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nations, New york, 2005.

ნორმატიული მასალა:

- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი მიღების თარიღი: 28/03/2007; გამოქვეყნების წყარო, თარიღი სსმ, 9, 31/03/2007.
- „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი მიღების თარიღი: 25/06/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996.
- „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 18/09/2020, გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 25/09/2020.
- German Insolvency Code Of 5 October 1994 (BGBl. I p. 2866) as of 23 June 2017 (BGBl. I p. 1693).
- German insolvency code of 5october 1994 (BGBL> [Federal Law Gazette] I p. 2866), last amended dated 15 july 2012 (Federal Law Gazette I p. 2379)
- DIRECTIVE (EU) 2019/1023 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, 2019.
- Rehabilitation Act, RA, 2000.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

- საქმე # სა-264-250 2-15, 18 მაისი 2016 წელი№ას-570-541-2015,11 ნოემბერი, 2015 წელი.

გამოყენებული ვებ. გვერდები:

- https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf
- https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931
- https://www.britannica.com/topic/bankruptcy/Rehabilitation-and-reorganization-of-insolvent-estates
- https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245931
- https://www.britannica.com/topic/bankruptcy
- http://www.ebrd.com/downloads/legal/insolvency/principle.pdf
- https://www.hg.org/insolvency-law.html

განაცხადი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ან/და ციტირებული სათანადო წესების დაცვით.